ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 15 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 172 (12 547) 24 ივლისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ირლანდიას სამი ათასი ფანი მოჰყავს

რა ელირება თამაშზე შესვლა 4



## ლივერპულის რეკორდი დაემხობა

ინტერვიუ ალექს ფერგიუსონთან 8-9

ალმასკომამდე 4 დღით ადრე

## კანდიდატი ორია: ფინკე და სეგრტი

4

ოლიმპიადა ახლოვდება...

## სელესაო პეკინში ჩავიდა... რობინიოს გარეშე



სამაგიეროდ, ჩინეთშია მილანის ახალწვეული რონალდინიო, რომელმაც აეროპორტში პირადად შეკრიბა 3 ათასი ჩინელი ფანი 8

## კლინსმანმა პირველი ტიტული წააგო



დორტმუნდი

**2:1**

ბაიერნი

გერმანიის სუპერთასი 15

## კრისტიანოს ახალი გოგო ჰყავს

პორტუგალიელმა ნერეიდა გალიარდო ლეტიცია ფილიპით შეცვალა 9





## ლებრონმა ამერიკა აანერვიულა

16

დრიმ თიმის მთავარმა ვარსკვლავმა ფეხი დაიზიანა. მშვიდობით პეკინო?

## ტურს ახალი ლიდერი ჰყავს



სასტრემ ალპები დაიპყრო და ყვითელი მაისურა მოირგო

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 14

# სირცხვილი, კადრება და 41 წლის კნუდსენი



უეფას ოფიციალურ საიტზე ფარერული ნსი-სა და თბილისის „დინამოს“ მიმოხილვაში შემდეგს ვკითხულობთ: *„მასპინძლებმა ბრწყინვალედ დაიწყეს თამაში. მე-18 წუთზე* ***პიალგრიმ ელტორი*** *დროულად დაუხვდა* ***ოსურ დალბუდის*** *ჩაწოდებას და კარი ახლო მანძილიდან დალაშქრა. „გუნდადალურის“ ხელოვნურსაფარიან სტადიონზე, რომელიც ტორსჰავნიდან 70 კილომეტრშია, პირველი ტაიმის ბოლომდე თამაშს ნსი აკონტროლებდა“.* დაგვეთანხმებით, მძიმე ნასაკითხია.

შარშან, დეკემბერში, **იენს მარტინ კნუდსენი** 40 წლის შესრულდა და გადაწყვიტა, ხელთათმანები კედელზე ჩამოეკიდა, თუმცა რუნავიკის გუნდს ორი მეკარე დამტვრეული ჰყავს, ერთი კი - დისკვალიფიცირებული. ასე რომ, კნუდსენი ერთი თამაშით დაბრუნდა და საკლუბო კარიერაში უდიდესი გამარჯვებაც მოიპოვა. *„ჩვენ ვითამაშეთ კარგად, წარმოუდგენლად კარგად. ბიჭების თამაშით აღფრთოვანებული ვარ“,* - განაცხადა კნუდსენმა და ოთხი შვილის მამა ისევ ყოველდღიურ, რუტინულ ცხოვრებას დაუბრუნდა. *„თბილისის მატჩის მეორე ტაიმში ჩვენ ვირწმუნეთ, რომ „დინამოსთან“ ბრძოლა შეიძლებოდა. ვფიქრობ, ბიჭები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეეძლოთ შინ მატჩის მოგება. სირცხვილია, რომ მეტით მოგება ვერ შევძელით, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან გახარებულები ვართ დღევანდელი მატჩის შედეგით“,* - ეს უკვე ნსი-ს კაპიტნის, **ოლი ჰანსენის** სიტყვებია. სირცხვილიაო..

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

***P.S.*** *არის ერთი დეტალიც – ამისთვის ისევ ღვაწმოსილ კნუდსენს (ყოფილ ტანმოვარჯიშეს, სხვათა შორის) უნდა დავუბრუნდეთ. საქმე ისაა, რომ უეფას განაცხადში რუნავიკელებს სამი გოლკიპერი ჰყავთ შეყვანილი: ტორნსენი, სტანკოვიჩი და იოენსენი. ანუ, შესაძლოა ფარერელებმა განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი ათამაშეს (თუ უეფამ რაიმე გამონაკლისი არ დაუშვა) ამ შემთხვევაში კი მათ 0:3 მარცხი ეკუთვნით. ალბათ, იტყვიან მაინც გავიდნენ და რატომ უნდა იკადრონო. ვერ დავეთანხმებით, ამით ჩვენ საკლუბო რეიტინგი შეგვემატება. კადრებაზე საუბარი კი ცოტა უხერხულია, როცა გუნდი ფარერელ პროფესიონალ მეთევზეებთან (შეთავსებით, მოყვარულ ფეხბურთელებთან) აგებს.*



# პერ ცობელ, სად დაკარგეთ ხელსახოცი?

რა საჭიროა ხელსახოცი? ამ საყოფაცხოვრებო ნივთის ბევრი სახეობა არსებობს - ზოგი ცხვირის მოსაწმენდად გამოდგება, ზოგი ოფლის, ზოგიც ნელსაცხებლითა და საპნით არის გაჟღენთილი და გენიტალიებისთვისაც იყენებენ, ზოგი ხელსახოცი კი ნამუსის მოსაწმენდად გამოიყენება, ზოგი კი ხელს სხვას ახოცავს.

"რუნავიკი" - "დინამომ" ევრო 2008-ის ერთი თამაში გამახსენა. საქართველომ იტალიაში 0:2 წააგო და გიორგი ლომაიამ პირველი ტაიმის ბოლოს ჯარიმიდან ძალიან კურიოზული გოლი გაუშვა - **ანდრეა პირლომ** მეკარისკენ დაარტყა, **ლომაიამ** კი კონცეტრაცია დაკარგა და სხვაგან გადახტა.

უთამაშებელი და უგუნდო ლომაია კარში **კლაუს ტოპმიოლერმა** ჩააყენა და წაგება მას დააბრალა, მეტიც, იტალიასთან თამაშის შემდეგ სანაკრებო შეკრება გრძელდებოდა, სამ დღეში შოტლანდიასთან იყო მატჩი და როცა ლომაია მორიგ ვარჯიშზე გამოცხადდა, ტოპმაც მაშინ გაუშვა ის შეკრებიდან.

სოფელ რუნავიკის გუნდთან მარცხის შემდეგ დინამოელთა დამრიგებელ **რაინერ ცობელს** ფარერებზე დავურეკეთ და ჰერ ცობელმაც აქცენტირებულად გვითხრა, გოლი **გიორგი ნერგაძის** ინდივიდუალური შეცდომის გამო გავუშვითო. ცხადია, ცობელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მატჩის ტელეტრანსლაცია არ იყო, ფარერებზე მატჩს არც ერთი ქართველი ჟურნალისტი არ ესწრებოდა და ინტერნეტშიც შეუძლებელი არმოჩნდა მატჩის სტენოგრამის მყის მოძიება. მოკლედ, ცობელი, ფაქტობრივად, ინფორმაციის ექსკლუზიური წყარო იყო და ერთადერთი გაშვებული გოლიც ნერგაძეს დააბრალა.

არ ვიცი, რამდენად სწორად მოიქცა ცობელი, თუმც ხელსახოცი სად დაკარგა, ამასაც ვერ მოგახსენებთ.

ერთი სიტყვით, ცობელმა დინამოური კარიერა ასე დაიწყო.

**დავით თავართქილაძე**

ქართველები ჩემპიონთა ლიგაში

# როგორ უნდა ეთამაშო ჯუჯას




კლიმენტი ნიტაიშვილი (მარჯვნივ)

ლიტვის ჩემპიონმა „კაუნასმა“ თვალსაჩინო მაგალითი უჩვენა თბილისის „დინამოს“, თუ როგორ უნდა გაუსწორდე საფეხბურთო ჯუჯას. მიუხედავად იმისა, რომ ანდორის მყუდრო სოფელში კაუნასელებს 4:1 ჰქონდათ მოგებული, მათ გადახალისებული შემადგენლობითაც არ გასჭირვებიათ „სანტა კოლომას“ დამარცხება – 3:1. ჯამში 7:2-ით „კაუნასი“ მეორე ეტაპზე გავიდა, სადაც თავად იქნება აუტსაიდერის როლში – მეტოქე ხომ გლაზგოს „რეინჯერსია“.

„სანტა კოლომასთან“ საპასუხო მატჩის სასტარტო შემადგენლობაში **ნუკრი მანჩხავა** იყო, **აკაკი ხუბუტია** კი განაცხადშიც არ ყოფილა. მანჩხავამ 90 წუთი ითამაშა. ამ შეხვედრაში „კაუნასის“ პორტუგალიელი მწვრთნელის, **ჟოზე კოუშეირუს** დებიუტი შედგა. პორტუგალიელი შედეგით კმაყოფილი, მაგრამ ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო დარჩა.

უელსის ჩემპიონისგან, „ლანელისგან“ 0:1 მარცხი ლატვიაში გამოასწორა **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსმა“. ბალტიელებმა ბრიტანელებს 4:0 მოუგეს. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. მენთეშაშვილმა 53-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. „ვენტსპილსი“ მეორე ეტაპზე ნორვეგიულ „ბრანს“ ეთამაშება.

გახსოვთ ალბათ, შარშანდელი ევროტურნირების გარიჟრაჟი და ყაზახების მიერ დაბრიყვებული ქართული კლუბები. წლეულს ყაზახეთის ჩემპიონ „აქტიობეს“ მოლდოვური „შერიფი“ შეხვდა და საკადრისი ადგილიც მიუჩინა. ყაზახეთში 0:1 წაგების მერე ტირასპოლში მასპინძლებმა 4:0 მოიგეს. გუნდი, რა თქმა უნდა, კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** გაიყვანა მოედანზე. ერთ ეპიზოდში თარხნიშვილი საჰაერო დუელში დაშავდა, თუმცა მან მაინც შეძლო მატჩის ჩამთავრება. „შერიფის“ შემდეგი მეტოქე ჩეხეთის ჩემპიონი „სპარტა“ გახლავთ.

გუშინ, **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა“ სტუმრადაც დაამარცხა სომხეთის ჩემპიონი „პიუნიკი“, ამჯერად უფრო დამაჯერებელი ანგარიშით – 2:0 და მეორე ეტაპზე გავიდა. „ანორთოსისი“ 30-ე წუთზე **კლიმენტი ნიტაიშვილმა** დააწინაურა, მეორე ტაიმში კიდევ ერთი გოლი **ნიკოს ფრუსოსის** ანგარიშზეა. ქეცბაია და კომპანიას მეორე რაუნდში ავსტრიის ჩემპიონი ვენის „რაპიდი“ ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტატანაშვილის გოლმაც ვერ უშველა

ჩეხური „ვიქტორია“ პლზენიდან ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ, მორიგ ტესტ-მატჩში „ვიქტორია“ 2:4 დამარცხდა ჩეხურ „პრიბრამთან“. არადა, თავიდან ყველაფერი პლზენელების სასარგებლოდ დაიწყო, როცა 28-ე წუთზე ექსამერელმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** თავისი გუნდი დააწინაურა. თუმცა ამის შემდეგ „პრიბრამმა“ უკეთ ითამაშა და საბოლოოდ იმარჯვა კიდეც. დიმიტრი ტატანაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. ეს ჩვენებურის მეორე გოლია „ვიქტორიას“ მაისურით ტესტ-მატჩებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




დიმიტრი ტატანაშვილი




# ხიზანიშვილს საზარდული აწუხებს

საქართველოს ნაკრების მცველს **ზურაბ ხიზანიშვილს** ტრავმა აწუხებს. მან საზარდული 15 ივლისს „მაკლსფილდთან“ თამაშში დაიზიანა, სადაც მეორე ტაიმი ითამაშა. სწორედ ამიტომ, ზურას არ მიუღია მონაწილეობა „ჰოფენჰაიმთან“ ტესტ-მატჩში, არადა, **პოლ ინსმა** ლამის მთელი შემადგენლობა გამოსცადა და ბუნდესლიგელებს თითო ტაიმში სხვადასხვა გუნდი გამოუყვანა. ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა ის 25 ივლისს „ბენფიკას“ წინააღმდეგ პორტუგალიაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე. ნომრის მორიგე რედაქტორი გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ცეცხლთან თამაშის ცუდი მოთამაშე



როგორ ფიქრობთ, რატომ ინელება საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი? ჯობია, არ იცოდეთ...

**პეტარ სეგრტი** დიდ გულზეა და არაერთხელ გვითქვამს, რომ არ გრძნობდეს ძლიერ ზურგს, ასე დაჟინებითა და შეუპოვრად არ შემოგვთავაზებდა საკუთარ თავს ეროვნული გუნდისთვის.

შეიძლება ითქვას, სეგრტი აგრესიულ სარეკლამო პოლიტიკაზეც კი წავიდა. მან კარგად იცის, რომ პროვინციულ ქვეყანაშია, მაგრამ ჩვენზე ყველაფერი მაინც არ იცის. გამარჯობა პირზე კოცნით, მოიკითხავს ცოლსა და შვილს, შეგიქებს ჟურნალისტურ გარჯას და ჯიგრიანად დაგელაპარაკება ქართული ფეხბურთის პრობლემებზე. თუმც მაინც გასცემს საკუთარ თავს - ის ხორვატია და ქართულ სინამდვილეს ბოლომდე ვერ მოერგება. ესეც რომ არა, უკვე ყველამ ყველაფერი იცის, მათ შორის ის, თუ ვინ არის სეგრტის შემგულიანებელი.

ალბათ, არ იქნება თამამი განცხადება, თუ ვიტყვით, რომ **ნოდარ ახალკაცი** მაინცდამაინც კარგად ვერ ფლობს ცეცხლთან თამაშის ხელოვნებას. მას ხელისუფლებისგან ორჯერ არამად ერგო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა, ყოველგვარი რისკისა თუ დიდი ბრძოლის გარეშე.

სულ სხვა არის შინაგანი ბრძოლები. ახალკაცმა ერთ-ერთ ინტერვიუში გვითხრა, workaholic-ი ვარო და ეს ალბათ, მართლაც ასეა, მაგრამ ამასთან ერთად ხომ სხვაც არის საჭირო - რისკი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

და რატომ უნდა ახლკაცს სეგრტი? იმიტომ. რომ ეს მწვრთნელი იაფი დაჯდება. ძვირი იყო **კლაუს ტოპმიოლერი** და წარუმატებლობებითა და მილიონების ფუჭი ხარჯვით ახალკაცმა ხელისუფლება უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა. ფეხბურთის ფედრაციის პრეზიდენტის შარშანდელი არჩევნები ხომ მთლად სამარცხვინო იყო და ცხადია, ახალკაცს აწუხებს ის განცდა, რომ ხელისუფლებას მისი ფედერციის პრეზიდენტობა ძვირი უჯდება.

მთავრობა ისევ გამოდის ფულს ნაკრების მწვრთნელისთვის და ახლკაციც ძალიან ფრთხილობს - კიდევ მილიონები უნდა გამოსთხოვოს ხელისუფლებას და კაცმა არ იცის, რა შედეგი ექნება ჩვენს ნაკრებს 2010 წლის მუნდიალის შესარჩევში.

და ალტერნატიული ვარიანტიც - სეგრტი, რომელიც წელიწდში ასი ათასი ევროც არ დაჯდება და თუ ნაკრები ისევ იჯახირებს, ნაკლებად გალიზიანდება ხალხიცა და ხელისუფლებაც.

მაგრამ გვინდა კი ასეთი ვარიანტი? სეგრტს არ აქვს ისეთი CV, რამენაირად რომ იმსახურებდეს უეფას ზონაში ერთ-ერთი ეროვნული ნაკრების გაწვრთნას. ხორვატი პეტარი საქართველოს ლამის ყველა კუნჭულში ჩავიდა და ვარჯიშები ჩაუტარა პერიფერიულ გუნდებს. მისი ვოიაჟები წინასაარჩევნო კამპანიას ჰგავს, მუყაითია, ნამქეზებელიც ჰყავს და იბრძვის, ახალკაცმაც ნაკრებების ტექნიკურ დირექტორად დანიშნა, პროფილი გაუფართოვა საქართველოს 21-წლამდელთა დამრიგებელს და მაისში ესტონეთ-პორტუგალიასთან ჩვენი ეროვნული გუნდის დროებით თავკაცს.

ალმასკომის სხდომა 28 ივლისს გაიმართება და რა თქმა უნდა, ახალკაცი ამისთვის საგანგებოდ ემზადება. ის დრო აღარ არის, ახალკაცმა ალმასკომზე უპრობლემოდ რომ დაამტკიცა ნაკრების თავკაცად **გაიოზ დარსაძე**, ახლა ძალაინ გაუჭირდება საკუთარი ჯილისთვის საკმარისი ხმების მოგროვება. თხუთმეტკაციან ალმასკომში პოზიციები უკვე მოსინჯულია და როგორც შევიტყვეთ, სეგრტის კანდიდატურას ფეხბურთის ფედრაციის რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტი არ უჭერს მხარს.

ლოგიკურად ახალკაცი ამაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. ის ვერ იქნება **ენვერ ხოჯა**, რომელიც მთელ სამყაროს გაებუტა და ბოლოს ყველა მოკავშირესგან შემოძარცვული დარჩა. ღირს კი სეგრტის გამო ამაზე წასვლა?

**ფინკე, კუპერი, პეკერმანი**... ისიც კი მოიფიქრეს, ალმასკომზე რამდენიმე კანდიდატურა გავიტანოთ და ვნახოთ, ვისი აჯობებსო. არ მგონია, ეს იყოს გამოსავალი - მწვრთნელის საკითხში ხომ დიდი სიზუსტეა საჭირო, რაც ვერანაირ ალმასკომზე ვერ დადგება სასწორზე - ეს უკვე კარგად ნაფიქრი, არგუმენტირებული გადაწყვეტილება უნდა იყოს, რომელსაც ალმასკომი დაამტკიცებს.

ახალკაცს თითქოს მხნეობა აკლია.

**დავით თავართქილაძე**



მარცხნივ მალხაზ ასათიანი

ლეგიონერი

## ასათიანს მილიონები გაუხსენეს

გუშინ, რუსულ პრემიერლიგაში სანკტ პეტერბურგში დაზავდნენ „ზენიტი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ – 1:1. უკვე მეორე მატჩია საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **მალხაზ ასათიანი** სათადარიგოთა სკამზე რჩება. რუსულ მედიას ეს არც უკვირს: *„ასათიანმა „ამკართან“ და „დინამოსთან“ იმდენი ლაფსუსი დაუშვა, ბუნებრივიცაა, მისი რეზერვში გადაყვანა“*, - წერს „სპორტ ექსპრესი“. რუსული პირველი არხის ცნობილი წამყვანი **ვიქტორ გუსევი** კი მაინც იმედიანადაა: *„თუკი ასათიანი აღიდგენს პირვანდელ ფორმას, „ლოკომოტივს“ დაცვის ცენტრში პრობლემები აღარ ექნება.“* „ბულვარული „ტვოი დენი“ „ლოკომოტივში“ ჰონორარული სისტემის „უსამართლობაზე“ საუბრობს და ახსენებს, რომ მალხაზ ასათიანს გუნდში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჰონორარი აქვს – 2,4 მილიონი ევრო წელიწადში. რაც შეეხება **დავით მუჯირს**, ის ბოლო დღეებში მხოლოდ ერთხელ ახსენეს, „ევროფუტბოლი“ წერს, რომ „ამკართან“ მატჩში დავით მუჯირი იჯდა ტრიბუნაზე და უდარდელად აკნატუნებდა მზესუმზირას. დავითმა ამ სეზონში დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ფედერაციამ ქომაგს შესარჩევი ბითუმად შესთავაზა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სერვის-სიახლეს სთავაზობს გულშემატკივარს - საქართველოს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევის ხუთივე საშინაო მატჩისთვის გაყიდვაშია აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი - 150, 50 და 25-ლარიანი. ფასში სხვაობა განაპირობებს ადგილს ეროვნულ სტადიონზე - 150-ლარიანი აბონემენტები მოიცავს დასავლეთის ტრიბუნის მეორე იარუსის მე-9 სექტორს; 50-ლარიანი იმავე ტრიბუნასა და იარუსის მე-11 სექტორს, ხოლო 25-ლარიანი ჩრდილოეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-13 სექტორს.

აბონემენტების მფლობელებს ფეხბურთის ფედერაცია პირდება სხვადასხვა ფასდაკლებასა და საჩუქრებს. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ფედერაცია გულშემატკივართა მოზიდვასა და კომფორტზე ზრუნავს, სხვა საქმეა, რა პროდუქტი დაუხვდება მაყურებელს მოედანზე.

**დავით თავართქილაძე**

## სტადიონებს სექტემბრიდან მიეხედება

შარშან, შემოდგომაზე, საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** საგურამოს მშენებარე ბაზას ეწვია და საჯაროდ მოაწერა ხელი ბრძანებულებას ქართული ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამას, რომლის განსახორციელებლად მასშტაბური მუშაობა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ... ნოემბერში ქვეყანაში ისეთი ამბები დატრიალდა, ფეხბურთი ვილას ახსოვდა...

*„ახლა ქვეყანაში სტაბილური ვითარებაა და ეს პროგრამა სტადიონებთან მიმართებაში მალე ამოქმედდება. ვფიქრობ, სჯობს სტადიონები საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს რეალური ქმედება. ეს საქმე სექტემბერში დაიძვრება. რამდენიმე სტადიონით კერძო სტრუქტურები უკვე არიან დაინტერესებულნი. ამ საკითხში ფეხბურთის ფედერაციაც აქტიურად ჩაერთვება...*

*არიან პიროვნებები, რომელთაც ზესტაფონის, ბოლნისის, ახალციხისა და თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონების კერძო მფლობელობაში გადაცემა სურთ. ეს კარგი იქნება ამ არენებისთვისაც და საერთოდ, ქართული ფეხბურთის ინფრასტრუქტურისთვის. ამ საკითხზე სხვადასხვა სამინისტროებთან და უწყებებთან უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს.*

*გარდა ამისა, მერმის ქართულ საკლუბო ფეხბურთში, უმაღლეს ლიგაში, ყოველწლიურად, 4 წელიწადის განმავლობაში სახელმწიფო 2 მილიონ ლარს ჩადებს...*

*სტადიონების გარდა, ბაზებზეც ვზრუნავთ. საგურამოს ბაზა სექტემბერში დამთავრდება. ვინც ეს კომპლექსი ნახა, ყველა დამეთანხმება, რომ ნაკრებს საგურამოში ევროპული ტიპის თანამედროვე ბაზა ექნება"*, - აღნიშნა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ**.

**დავით ცაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. სამწვრთნელო საკითხი

# სეგრტი თუ ფინკე?

## ნაკრების თავკაცობის რეალური კანდიდატი ჯერ მხოლოდ ორია

ოთხი დღეც და ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი ეროვნული ნაკრების ახალ თავკაცს დაამტკიცებს. საინტერესოა, თუ ვის ერგება **კლაუს ტოპმიოლერის** მემკვიდრეობა, მისსავე თანამემამულე **ფოლკერ ფინკეს** თუ ხორვატ **პეტარ სეგრტს**, რომელმაც ფეხბურთში უმეტესი წლები სწორედ გერმანიაში გაატარა. რეალურად ეს ორი სრულფასოვანი კანდიდატია.

"ვერ ვიტყოდი, რომ ექტორ რაულ კუპერი და ნესტორ პეკერმანი ჩვენი ნაკრების თავკაცობის სრულფასოვანი კანდიდატები არიან. მათთან მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ საქმე იმ სტადიაში ჯერ კიდევ არაა, რომ მათ სრულფასოვანი კანდიდატები ვუწოდო. 28 ივლისამდე, ალმასკომის სხდომამდე ცოტა დროა დარჩენილი. თუმცა სულაც არაა გამორიცხული, ამ მწვრთნელებთან სწრაფ ტემპში და შედეგიანად წარიმართოს მოლაპარაკებები და ორივე თუ არა ერთ-ერთი მაინც რეალურ კანდიდატად იქცეს.

ამ ეტაპზე ნაკრების თავკაცობის სრულფასოვანი კანდიდატი მხოლოდ ორია, პეტარ სეგრტი და ფოლკერ ფინკე.

საბოლოო სიტყვა და არჩევანი ფედერაციის ალმასკომზეა. მოკლედ, ჯერ არ ვიცით, ალმასკომის წევრებს ეროვნული ნაკრების თავკაცობის რამდენ კანდიდატს წარვუდგენთ", - პრესკონფერენციაზე განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ.

**დავით ცაბაძე**

---

# დენდერის სამი გაგრული კონტრაქტი

## თოთაძე კიევს მიუახლოვდა

პირველ ლიგაში აღზევებული "გაგრა" ტრანსფერებშიც წარმატებული აღმოჩნდა - ბელგიის პირველი დივიზიონის "დენდერში" სამი გაგრელი ჩაირიცხა.

მცველი **ვახტანგ ქვრივიშვილი**, ნახევარმცველი **გიორგი ცხადაია** და თავდამსხმელი **ზურაბ ძაგანია** - "დენდერმა" სამივეს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

"დენდერის" მთვარი მწვრთნელი საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი დამრიგებელი **იოჰან ბოსკამპია**. როცა ის საქართველოში მუშაობდა, მისი თანაშემწე **გია გეგუჩაძე** იყო, ვინც 2006-07 წლებში "გაგრის" ტექნიკური მდირექტორი გახლდათ და სწორედ მან დააკავშირა "გაგრა" "დენდერთან".

კიდევ ერთი გაგრელი, მარცხენა მცველი **ლაშა თოთაძე** ორ კვირაზე მეტია, კიევის "დინამოში" ისინჯება. "გაგრაში" გვითხრეს, რომ თოთაძემ თავი მოაწონა კიეველთა მწვრთნელებს - **კალიტვინცევს, ლიტოვჩენკოს** და **ონიშენკოს** - და დიდია ალბათობა, უკრაინულ გრანდში ჩაირიცხოს. თოთაძე ახლა კიევის "დინამოს" მეორე გუნდში ვარჯიშობს. კიეველები ევროპიდან კლუბის პრეზიდენტ **იგორ სურკისის** ჩამოსვლას ელიან და თოთაძის საკითხიც მერელა გადაწყდება - გვითხრა "გაგრის" წარმომადგენელმა **გოდერძი ჩიხრაძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ეროვნული ნაკრები. მეტოქე

# ირლანდიას მინიმუმ სამი ათასი ფანი მოჰყავს

## რა ეღირება თამაშზე წასვლა

6 სექტემბერს, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს დაიწყებს - სასტარტო ტურში ირლანდიას ვუმასპინძლებთ. როგორც გაცხადდა, **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს ქართველების წინააღმდეგ რამდენიმე ათასი გულშემატკივარი უქომაგებს. ათიოდე დღის წინათ თბილისში ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლები ყოფილან ჩამოსული. ისინი 6 სექტემბრის საქართველო-ირლანდიის მატჩის საორგანიზაციო საკითხით დაინტერესდნენ. როგორც ირკვევა, ამ თამაშზე დასასწრებად, მინიმუმ სამი ათასი გულშემატკივრის ჩამოსვლაა მოსალოდნელი. თუმცა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შესაძლოა, ხუთი ათასი ირლანდიელი ფანიც კი ვიხილოთ.

"საერთაშორისო რეგლამენტის მიხედვით, სტუმრებს უფლება აქვთ სტადიონის საერთო ტევადობის 10 %-ის, ანუ 5 300 ბილეთის დაჯავშნა მოითხოვონ და ჩვენ ვალდებულები ვართ, ეს შევასრულოთ. თუ მეტს მოითხოვენ, ეს უკვე ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ირლანდიელთა მიმართ კეთილ ნებას გამოვხატავთ თუ დავინახავთ, რომ ქართველი ქომაგები ვერ ავსებენ ტრიბუნებს.

ირლანდიელებმა გვითხრეს, რომ მინიმუმ 3 ათასი ბილეთი მაინც დასჭირდებათ. ზუსტ პასუხს აგვისტოში გვეტყვიან.

ორი წლის წინათ, საფრანგეთთან თბილისური მატჩით გაიხსნა განახლებული ეროვნული სტადიონი. ეროვნული ნაკრების მატჩების მაღალ დონეზე ორგანიზებაში უკვე გვაქვს გამოცდილება. ორგანიზაციულ საკითხს ამჯერადაც დიდ ყურადღებას მივაქცევთ", - განაცხადა **გოგი ქავთარაძემ**.

საინტერესოა, თუ რა ეღირება საქართველო-ირლანდიის მატჩზე დასასწრები ბილეთები.

"ამ მატჩისადმი ინტერესი და ხალხის მდგომარეობა გავითვალისწინეთ. ეროვნული სტადიონის საერთო ტევადობის, ნახევარი ადგილების ბილეთის ფასი 5 ლარი იქნება. ეს ბილეთები ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზეა განკუთვნილი.

10 და 20-ლარიანი ბილეთები აღმოსავლეთ ტრიბუნისაა.

20, 40 და 70-ლარიანი ბილეთები კი დასავლეთ ტრიბუნისაა", - აღნიშნა საქართველო-ირლანდიის მატჩის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **რევაზ შენგელიამ**.

**დავით ცაბაძე**

---

წიგნის თარო

# შენგელიამ სამი სეზონი გამოსცა

"ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი" ჩვენი ფეხბურთისა და სტატისტიკის მოყვარულთათვის (არა მარტო) ჩინებული საჩუქარია. კარგა ხანია, მკითხველს ეს წიგნი არ უნახავს. საქართველოს ეხბურთის ფედერაციამ ეს გამოცემა აღადგინა და წიგნი უკვე გაყიდვაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მე-14 ცნობარია და 2005-08 წლებს მოიცავს.

"რევაზ შენგელიასა და მის ამ გამოცემას ყველა კარგად იცნობთ. ეს წიგნი უცხო არ არის ქართული ფეხბურთითა და სტატისტიკით დაინტერესებულთათვის და მათთვის საჩუქარი და ერთგვარი მეგ ზურიცაა. ამჯერად ეს გამოცემა არაერთ სეზონს მოიცავს და უფრო მასშტაბურია", - აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** მასმედიასთან შეხვედრისას.




**დავით ცაბაძე**

---



# კალაძის პირველი

გუშინ, „მილანმა" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. კრემონეში, „ჯოვანი ძინის" სტადიონზე **კახა კალაძის** გუნდი ადგილობრივ „კრემონეზეს" დაუზავდა – 0:0. ქართველი მცველი, რომელიც ახალ სეზონშიც 4 ნომერი მაისურით ითამაშებს, სასტარტო შემადგენლობაში იყო. „მილანის" ოფიციალური საიტის ცნობით, მათ გუნდს ყველაზე საუკეთესო შანსი გოლის გატანის მე-80 წუთზე ჰქონდა, როცა **ბროკის** დარტყმული მეკარემ საოცარი ნახტომით მოიგერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

# კანდიდატის თვალწინ

წუხელ, ავსტრიის ბუნდესლიგის მესამე ტურში გრაცის „შტურმმა" 3:0 გაანადგურა „მატერსბურგი". ამ თამაშს დაესწრო საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი **პეტარ სეგრტი**. სეგრტმა საქმეში ორივე ქართველი ლეგიონერი ნახა, **ილია კანდელაკმა** და **გიორგი შაშიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს. „შტურმმა" **ბაიხლერის** დუბლით და **იანტშერის** გოლით იმარჯვა. „შტურმი" 6 ქულით მეორე ადგილზეა, თუმცა გრაცელებს ქულათა მაქსიმუმი აქვთ მოპოვებული – პირველ ადგილზე მყოფ „ზალცბურგს" 7 ქულა აქვს და ქართველთა გუნდზე თამაშით მეტი გამართული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

# კობიაშვილი: ენგელაარის შემცვლელი

გუშინ, გრაცში ჩვენთვის საინტერესო ორი შეხვედრა გაიმართა, ადგილობრივმა „შტურმმა" ბუნდესლიგის მატჩში მოიგო, ხოლო შეკრებაზე მყოფმა „შალკემ" 4:1 გაანადგურა ბაჰრეინის ეროვნული ნაკრები. **ლევან კობიაშვილმა** „შალკეს" ჰოლანდიელი ახალწვეული ენგელაარი 73-ე წუთზე შეცვალა. **ლევან ყენიამ** ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა. 26 ივლისს „შალკე" თურქულ „ბეშიქთაშს" გაეჯიბრება. გუშინვე მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგი" „სტრასბურგთან" 1:4 განადგურდა, **გიორგი თარგამაძეს** არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



---

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:
გიო ახვლედიანი. ილია ბაბუნაშვილი. კოტე გოგიშვილი.
ლაშა გოდუაძე. გოჩა ჯაჯარაია. მამუკა კვარაცხელია.
დავით კოვზირიძე. მერაბ მამულაშვილი.
ზვიად ხიბნიაშვილი. დათო ცურაშვილი
კაპიტანი გიორგი გორგოძე

U 19. ამხანაგური მატჩი. საქართველო-რუმინეთი

## ზაურ სვანაძე:
# რუმინეთთან მატჩები წაგვადგება



ზაურ სვანაძე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს დღეს რუმინელ თანატოლებთან ამხანაგური თამაში ელის. გუშინ, მეტოქე გუნდებმა მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართეს.

**ზაურ სვანაძემ** თანაშემწეებთან, **გოჩა ჩიქოვანთან, დავით გვარამაძესთან** და **მამუკა აბუსერიძესთან** ერთად 18 საათზე "ამერის" სტადიონზე გაიყვანა სავარჯიშოდ გუნდი. წვრთნა 45-50 წუთი მიმდინარეობდა. მწვრთნელებმა ჭაბუკები გუშინ დილით, მსუბუქად ავარჯიშეს და შესაბამისად, საღამოს წვრთნას ინტენსიური ნამდვილად არ ეთქმოდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, ნახევარმცველი **ნიკოლოზ ჯიშკარიანი** და თავდამსხმელი **ზვიად ქანთარია**, 19-წლამდელებს ჯერ არ შეერთებიან. "დინამო" გუშინ, გვიან ღამით დაბრუნდა თბილისში. ჯიშკარიანი და ქანთარია დღეს შეუერთდებიან გუნდს და მწვრთნელები მათ დღესვე თუ არა, შაბათს, რუმინელებთან გორში ჩასატარებელ ამხანაგურ შეხვედრაში გამოცდიან.

სვანაძე და ჩიქოვანი ფეხბურთელებს სხვადასხვა მითითებებსა და დავალებებს აძლევდნენ, გვარამაძემ და აბუსერიძემ მეკარეები ავარჯიშეს. სხვათა შორის, 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებულ სამ მეკარეს შორის ერთი გვარად კოტრიკაძეა. "გაგრის" მეკარე **ბუთა კოტრიკაძე**, არც მეტი არც ნაკლები, ლეგენდარულ მეკარე **სერგო კოტრიკაძის** შვილიშვილია. თუმცა ჭაბუკთა ნაკრებში ბაბუის ხათრით რომ არ არის გამოძახებული, ეს ვარჯიშზეც ნათლად გამოჩნდა. "დინამოს" გოლკიპერების, **მაკარიძესა** და **ლოსაბერიძესთან** ერთად ისიც საიმედოდ გამოიყურებოდა.

თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი **ვაჟა ნემსაძე**, ეროვნული ნაკრების ექსკაპიტან **გიორგი ნემსაძის** უფროსი ვაჟია. სვანაძესთან ვარჯიშობს **გოჩა ტყებუჩავას** ვაჟი **ლევან ტყებუჩავა**, რომელიც აგარის "მეშაქრეში" ასპარეზობს. საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნევენ ნახევარმცველ **ნიკა კვეკვესკირს**, რომელიც მოსკოვის "დინამოს" დუბლებში ირიცხება. "ოლიმპიკის" ნახევარმცველ **თემურ შონიათი** გერმანული კლუბები არიან დაინტერესებულები. თემური გერმანიაში რომ იმყოფებოდა, ამაზე "ლელო" წერდა კიდეც. როგორც გავიგეთ, მისი ტრანსფერი რამდენიმე კვირაში შედგება.

საერთოდ, ჩვენს 19-წლამდელთა ნაკრებსა და მზადების პროცესზე ვარჯიშის შემდეგ ზაურ სვანაძეს გავესაუბრეთ:

- მეორე დღეა, რაც მოსამზადებელ შეკრებაზე გადავედით. კარგ პირობებში ვართ "ბასაზე". ამას გარდა,"ამერმა" სათამაშო მოედანი და საწვრთნელი ბაზის მინდორიც დაგვითმო. დღეს დილით სწორედ "ამერის" ბაზაზე ვივარჯიშეთ.

რაც შეეხება რუმინელებთან ამ ორ შეხვედრას, ეს უფრო გაცნობითი ხასიათის მატჩებია. ჩვენ ახალი გუნდი გვყავს, ამ შემადგენლობამ ერთად მხოლოდ ბოლოს, რუსთავის "ოლიმპთან" ითამაშა. გუნდი ჯერ კიდევ არაა შეთამაშებული ისე, როგორც მწვრთნელებს გვინდა.

**- ანუ ამ ამხანაგურ მატჩებში მთავარია გუნდი შეთამაშდეს და გუნდი წარმოჩნდეს, შედეგი კი მეორეხარისხოვანია?**

- შედეგი არასდროს არ არის მეორეხარისხოვანი. შესარჩევი ციკლი ნოემბრის ბოლოს გველის, მანამდე სრული სამი თვე გვაქვს მისამზადებლად. რუმინელებს კარგი ნაკრები ჰყავთ და მათთან სპარინგი ჩვენს ფეხბურთელებს დიდ გამოცდილებას შესძენს.

**- მოსკოვის "დინამო 2"-ის ნახევარმცველ ნიკა კვეკვესკირს როგორ დაახასიათებდით?**

- საინტერესო ფეხბურთელია. ერთი ხანობა "ამერშიც" ვარჯიშობდა. მცირე ტრავმა მიიღო, ცოტა გადაღლილიცაა, მაგრამ ნელ-ნელა შევა ფორმაში. ის მარცხენა ნახევარმცველია და ვფიქრობ, წაგვადგება.

**- ვაჟა ნემსაძეზე რას გვეტყოდით?**

- სხვათა შორის, კარგად გამოიყურება, შეუძლია უკეთესი თუ არა, მამამისის დონის ფეხბურთი მაინც ითამაშოს.

**- ბუთა კოტრიკაძეზე რა აზრის ხართ?**

- 1990 წელსაა დაბადებული. აშკარად პროგრესს განიცდის. თუ ასე გააგრძელებს, კარგი მეკარე დადგება.

**დავით ცაბაძე**

## ადრიან ვასაი
# საქართველო ჩემთვის თურქეთია



ანდრეი ვასაი

**რუმინეთის 19-წლამდელთა ნაკრები თბილისში გუშინწინ ჩამოფრინდა. ვლახები სასტუმრო "სიმპათიაში" დაბინავდნენ. სტუმრებმა გუშინწინ "ამერზე" ივარჯიშეს, გუშინ კი დილომში, სპორტკომპლექს "ოლიმპკიში" ჩაატარეს წვრთნა. რუმინელთა გუნდის თავკაცმა ანდრეი ვასაიმ საქართველოში 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა. ამხანაგურ მატჩებში, თუ მეტოქეები შეთანხმდებიან, შეცვლების რაოდენობა ლიმიტირებული აღარ იქნება. ზაურ სვანაძის სურვილია, განაცხადში შეყვანილ ყველა ფეხბურთელს მიეცეს თავის წარმოჩენის შანსი. ამაზე რუმინელებიც არ არიან უარს და დღეს ბევრი შეცვლაა მოსალოდნელი.**

სტუმართა გუნდის ვარჯიში გუშინ, 18 საათზე დაიწყო. ანდრეი ვასაიმ მოედანზე ესენი გაიყვანა:

**ალექს სილვიუ, დენის ალიბეკი, ალექსანდრუ ბარბოლოვისკუ, კრისტიან ჩიოკალტუ, დანიელ კუკუ, ალინ ფარშასი, ადრიან ჰორვატი, მიჰაილ იონესკუ, ადრიან მანუ, გაბრიელ მატეი, კოზმინ მირონი, ჰორაციო მუტი, კატალინ პოპესკუ, ემილიან რაპა, ვლად რუსუ, გეორგ სანდუ, მიჰაი სავინი, მარიუს სტეფოი.**

ვლახებმა ვარჯიშზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე, გამძლეობაზე, სისწრაფესა და სტანდარტულებზე გააკეთეს. წვრთნის დასრულების შემდეგ კი რუმინელთა თავკაცს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ლეგიონერები თუ ჩამოიყვანეთ?**

- არა, ამ ეტაპზე მინდა ის ფეხბურთელები გამოვცადო, რომლებიც რუმინეთის ჩემპიონატში ასპარეზობენ. შეიძლება ითქვას, ახალი გუნდი გვყავს.

**- თქვენს გუნდში რომელი სათამაშო რგოლია გამორჩეული?**

- ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდი გვყავს.

**- საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებზე რა იცით?**

- თითქმის არაფერი. ქართველებს ტექნიკური ფეხბურთელები არასდროს გაკლიათ. მოედანზე ბურთის კონტროლი გეხერხებათ, მოკლე პასებით კარგად თამაშობთ. ესაა ჩემი წარმოდგენა ქართულ ფეხბურთზე და ვფიქრობ, ხვალ სწორედ ასეთ გუნდთან მოგვიწევს დაპირისპირება. კონკრეტულად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებზე არაფერი ვიცი. მიუხედავად ამისა, მჯერა რომ კარგ გუნდთან მოგვიწევს ორი თამაშის გამართვა და ეს მატჩები ჩემს გუნდს წაადგება.

**- რამდენი ხანია, რაც ამ გუნდს წვრთნით?**

- თითქმის წელიწადია. საქართველოსთან თამაშებიც იმიტომ გვინდა, რომ ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ჯგუფურ ეტაპზეც ამ სტილის მეტოქე გვეყოლება.

**- რომელი გუნდებია თქვენს ჯგუფში?**

- თურქეთი, უელსი და ანდორა. ჯგუფურ ტურნირს თურქეთი უმასპინძლებს. ქართველებისა და თურქების სათამაშო სტილი თითქმის ერთნაირია. მინდა, ამაში ქართველებთან ამ ორმა ამხანაგურმა თამაშმაც დამარწმუნოს. იმედი მაქვს, ასეც იქნება.

საქართველოსა და რუმინეთის 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის პირველი ამხანაგური მატჩი დღეს, "ამერის" სტადიონზე გაიმართება. შეხვედრა 18 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**
ავტორის ფოტოები





რომა

# მუტუ ნაღდია!

**ადრიან მუტუს** ფლორენციული მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მას მერე, რაც "რომამ" მისი შეძენა გადაწყვიტა და "ფიორენტინას" ოფიციალური წინადადებით მიმართა. გუშინ, ტრიგორიიდან წამოსული შეთავაზება "ვიოლას" სპორტულმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომაც** დაადასტურა და იქვე დასძინა, რომ კლუბი გულდასმით განიხილავს ტრანსფერის შესაძლებლობას და პასუხს უახლოეს დღეებში იტყვის. ამის მერე კი, ან მოლაპარაკება დაიწყება, ან მუტუ კარიერას "ფიორენტინაში" გააგრძელებს.

ისე, კორვინოს სიტყვებიდან იგრძნობა, რომ ფლორენციელები რუმინელს კალთებს არ დაახევენ. როცა საუბარია 30 წლის ფეხბურთელზე, მისი სურვილი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთო, აცხადებს ბატონი დირექტორი. ახლა ისაა გასარკვევი, სურს თუ არა მუტუს "ჯალოროსიში" გადასვლა. გავიხსენოთ, რომ ამასწინათ ის "ფიორენტინას" სიყვარულს ეფიცებოდა, აქ ისეთი ბედნიერი ვარ, ლამისაა კარიერაც ფლორენციაში დავასრულოო.

ასეა თუ ისე, მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მუტუ "რომას" საკუთრება გახდება. **ლუკა ტონის** წასვლის შემდეგ, ის "ფიორენტინას" ლიდერი გახდა. ადრიანის დიდი დამსახურებაცაა, რომ **ჩეზარე პრანდელის** გუნდმა ღირსეული კამპანია ჩაატარა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში თვით "მილანი" ჩამოიტოვა. ცხადია, "ფიორენტინას" ამბიციები გაიზარდა. ახლა, პრანდელის მიზანია, გუნდმა ევროარენაზეც იყოჩაღოს და სულ მცირე, პლეი ოფში გავიდეს. შინაურ არენაზე კი მიზანი კვლავ ოთხეულში მოხვედრა იქნება. მაგრამ მუტუს გარეშე? ძნელია. ყოველ შემთხვევაში, პრანდელის ნამდვილად დასჭირდება სერიოზული ალტერნატივა. **ალბერტო ჯილარდინო** და **ჯანპაოლო პაცინი** ამ საქმეს მარტო ვერ აუვლენ. როგორც ამბობენ, მუტუს შემცვლელებად უკვე შეგულებულები არიან **ანტონიო დი ნატალე** ("უდინეზე"), **გორან პანდევი** ("ლაციო") და **ალესანდრო როზინა** ("ტორინო").

სხვათა შორის, გუშინ რამდენიმე სააგენტომ გაავრცელა საყურადღებო ვერსია **ადრიანოს** თაობაზეც. ნახევარწლიანი არენდის შემდეგ, ის "სან პაულოდან" "ინტერში" დაბრუნდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, **ჟოზე მოურინიო** "იმპერატორთან" თანამშრომლობის სურვილით ნამდვილად არ იწვის, ითვალისწინებს რა **რობერტო მანჩინის** მწარე გამოცდილებას. ადრიანო "ფიორენტინაში" 2001/02 წლების სეზონში თამაშობდა. ზორბა ბრაზილიელმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ მძიმე ფინანსურ სიტუაციაში მყოფმა "ვიოლამ" სერია A-ში ადგილი შეინარჩუნა.

რაც შეეხება "რომას", მუტუს მისვლა **ლუჩანო სპალეტის** თავდასხმაში ვარირების საშუალებას მისცემს. **ფრანჩესკო ტოტისთან** ერთად, რუმინელს სუფთა ფორვარდის როლის შესრულებაც შეუძლია და უკანდახეულისაც. თავის მხრივ, ტოტიმაც შეიძლება გაცვალოს გამოკვეთილი თავდამსხმელის ფუნქცია ეგრეთ წოდებულ "ტრექვარტისტაზე" (სამი მეოთხედი, ასე უწოდებენ იტალიაში უკანა პლანის ფორვარდს). აქედან გამომდინარე, სპალეტის სქემა იქნება ან 4-4-2, ან 4-4-1-1. ეს არის ის, რასაც "ჯალოროსის" თავკაცი ადრეც ხშირად იყენებდა, მაგრამ ძველისგან განსხვავებით, ახლა ხარისხი უფრო მაღალი ექნება.

მედიის მტკიცებით, "რომა" მუტუში 16 მილიონ გირვანქას იძლევა. რაც შეეხება უშუალოდ ფეხბურთელისთვის შეთავაზებულ პირობებს, საუბარია 2.2-2.5 მილიონ გირვანქაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფლორენციაში ადრიანი 1.4 მილიონს იღებდა, რომაული ვარიანტი უკვე ფინანსურადაც მომგებიანია მისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ გარიგების სპორტულ მხარეზე.

...და აი, კიდევ ერთი ინფორმაცია ფლორენციიდან, რომელიც სანდო წყარომ გაავრცელა. გუშინ მუტუ არ დასწრებია "ფიორენტინას" საახალსეზონო პრეზენტაციას. უკვე ინტრიგაა არა? ოფიციალური მიზეზი ავადმყოფობაა, თუმც ეჭვიანი ხალხი მიზეზს სხვა რამეში ხედავს: რუმინელი მალე შეუდგება მზადებას მომავალი კამპანიისთვის, ოღონდ, არა ფლორენციაში, არამედ რომში, ტრიგორიის საწვრთნელ ბაზაზეო...



ადრიანო ადრიანის ნაცვლად: ფიორენტინამ, შეიძლება, იმპერატორი დაიბრუნოს

მილანი

# განგაში: როგორ შევცვალოთ ნესტა?

**ალესანდრო ნესტას** ქრონიკული ტრავმები "მილანს" თავსატეხად ექცა. 32 წლის მცველს საზარდულისა და წელის არეში მუდმივი ტკივილები აქვს. ამის გამო იყო, გასული სეზონის მეოთხედი რომ გაუცდა და 2007 წლის თებერვალში ნაკრებზეც ამიტომ თქვა უარი. საინტერესოა, რომ ტრავმა სათავეს 1998 წლის მუნდიალიდან იღებს. მას მერე, ნესტას მოსვენება არ აქვს. რომ არა გამაყუჩებლები, ფეხბურთს ნაადრევად დაანებებდა თავს. ბოლო ხანებში, თითქოს იყო იმის ნიშნები, რომ ტანჯვა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ... დაიწყო თუ არა ახალი სეზონისთვის მზადება, ნესტას ტრავმამ კიდევ ერთხელ შეახსენა თავი.

"მილანში" უკვე განგაშია. ეტყობა, ექიმები უძლურნი არიან. "კორიერე დელო სპორტმა", **ადრიანო გალიანის** ნამდვილად მოუწევს ბაზარზე გასვლა და ჯიბეების მოქექვაო, დაწერა გუშინდელ ნომერში. არადა, **რონალდინიოს** ყიდვის შემდეგ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა საზაფხულო ვაჭრობა დასრულებულად გამოაცხადა. მაგრამ დღეს სხვა გამოსავალი არ ჩანს. დაცვის ცენტრალურ ზონაში "როსონერის" 39 წლის **პაოლო მალდინი, კახა კალაძე, დანიელე ბონერა** და **დარიო შიმიჩი** ჰყავს. ფაქტია, რომ ნესტას გარეშე **კარლო ანჩელოტის** დაცვითი ოპციები მწირია. მისი პირველი არჩევანი ნესტა-კალაძეა. თუმც ცენტრში მალდინისაც შეუძლია თამაში. პრობლემას ქმნის მხოლოდ ასაკი. რამდენად მზადაა 40-ს მიტანებული სიმბოლო მძიმე ტვირთის ასაწევად? თან ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავის მხრივ, მალდინის მარჯვენა მუხლზე აქვს დიდი ხნის პრობლემა და გასულ სეზონში მასაც ბევრი გაუცდა. ბონერასა და შიმიჩის კლასი კი ნამდვილად ვერ იქნება საკმარისი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად.

ბოლო პერიოდში საუბარი იყო "რომას" მცველ **მატეო ფერარიზე**. "როსონერის" რომაელებისთვის კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიუმართავს. შეიძლება, ახლა მოუწიოს ამის გაკეთება. ფერარის "ჯალოროსიდან" წასვლა რომ უნდა, ცნობილი ამბავია. **ლუჩანო სპალეტი** მას ნაკლებად ენდობა. მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს **კრისტიან პანუჩი**, რომელზეც ორიოდ დღის წინათ ვწერდით. პანუჩი ამპლუით მარჯვენა მცველია, მაგრამ ცენტრშიც შეუძლია თამაში. შეუძლია კი არა, სპალეტი მას ძირითადად ამ პოზიციაზე იყენებს კიდეც. მაგრამ ტრანსფერის განხორციელება არ იქნება იოლი საქმე, რადგან პანუჩი "ჯალოროსისთვისაც" საკვანძო ფიგურაა. შეგახსენებთ, მას "მილანში" 1993-96 წლებში უთამაშია. მოკლედ, ვნახოთ, რას მოიფიქრებენ გალიანი და ანჩელოტი...

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**



ალესანდრო ნესტა

ინტერი

# ლემპარდი ინტერის რადარიდან გაქრა

## აბრამოვიჩი ფრენკის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს: 5 წელი და 150 ათასი გირვანქა!



ლემპარდი გუანჯოუში, ჩელსის ტურნეს დროს

საქმე ისე შეტრიალდა, რომ ეტყობა, **ფრენკ ლემპარდი** "ინტერში" აღარ გადავა. მარტო ის ფაქტი, რომ ლიდერი გუნდს ჩინურ შეკრებაზე გაჰყვა, თავისთავად ერთ რამეზე მეტყველებს: ამ ეტაპზე... თუმც რაღა ამ ეტაპზე, ხსენებულ თემაზე საუბარი საერთოდ აღარ იქნება. გუშინდლამდე ორი ვარიანტი იყო: "ინტერს" ლემპარდი ან პირდაპირ უნდა ეყიდა 20 მილიონ ევროდ, ან ერთი წელიწადი მოეცადა და მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით წაეყვანა. ახლა კი რა ხდება? "ჩელსი" მზადაა, ფეხბურთელს ყველა მოთხოვნა დაუკმაყოფილოს. უკანასკნელი შეთავაზება, რომელიც ორი კვირის წინათ გაკეთდა, 4-წლიან კონტრაქტსა და კვირაში 140 ათას გირვანქას ითვალისწინებდა. ლემპარდმა მაშინ უარი თქვა, მეტი მინდაო. ჰოდა, ახლა მიიღებს კიდეც, თუკი პრინციპულად გადაწყვიტა "ჩელსიში" დარჩენა.

მოკლედ, **რომან აბრამოვიჩი** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ფიგურა "სტემფორდ ბრიჯზე" კარიერის ბოლომდე დატოვოს. ამით ის ორ კურდღელს იჭერს: ერთი, რომ დიდ მოთამაშეს შეინარჩუნებს, და მეორე - მოურინიოს არ ჩაუგდებს ხელში. და აი, "დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "ჩელსი" ლემპარდს ახალ მეგაკონტრაქტს სთავაზობს: 5-წლიანი ხელშეკრულება და ყოველკვირეულად 150 ათასი გირვანქა. ეს არის ის, რაც თავის დროზე ფრენკმა მოითხოვა. ფაქტობრივად, "არისტოკრატებმა" ამით "ინტერს" მესიჯი გაუგზავნეს, ლემპარდი სამუდამოდ დაივიწყეთო. როგორც "დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, "სტემფორდ ბრიჯზე" უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ ლემპარდი "ინტერზე" აღარ იფიქრებს. დღე-დღეზე, 30 წლის ნახევარმცველი და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** მაგიდას მიუსხდებიან და ახალ პროექტს დეტალურად გაივლიან. ლემპარდს, პრაქტიკულად, არანაირი არგუმენტი აღარ რჩება საიმისოდ, რომ ზღაპრულ კონტრაქტზე უარი თქვას.

"დეილი ექსპრესს" კი "ჩელსის" ერთი-ერთი ჩინოსანი ინკოგნიტოდ ესაუბრა: *"კლუბმა კატეგორიულად გადაწყვიტა, რომ ლემპარდი შეინარჩუნოს. შეიძლება ითქვას, ეს გადაწყვეტილება ამ ზაფხულის მთავარ ამოცანებს შორისაა. ფეხბურთელთან საუბარი ჩინურ ტურნემდე შედგა. ამ საუბარმა დაარწმუნა "ჩელსის" ხელმძღვანელობა, რომ ფრენკი დარჩება. ვიცი ისიც, რომ ლემპარდი შეთავაზებით კმაყოფილი დარჩა. ალბათ, შეცდომა იყო, რომ კლუბმა კონტრაქტის დეტალები სააშკარაოზე გამოიტანა და დისკუსიის საგნად აქცია. შესაძლოა, ამან ფრენკის თავმოყვარეობაზეც იმოქმედა და უარყოფითი ემოციები დაბადა... მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ჩავლილია. დარწმუნებული ვარ, კლუბს მნიშვნელოვანი პრობლემა მოეხსნა".*

ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ინტერი" "პორტსმუთისგან" **სულეიმან მუნტარის** ყიდვას აპირებს. განელი ნახევარმცველისთვის სერია A-ს გარემო უცხო არ არის. ხუთი წლის (2002-07) განმავლობაში ის "უდინეზეს" ღირსებას იცავდა და ძირითადი შემადგენლობის მთავარი ფიგურაც იყო. მოურინიოს იდეით, გუნდს ახალი ნახევარმცველი სჭირდება, მაგრამ ცხადია, მუნტარი ლემპარდის სრულყოფილი ალტერნატივა ვერ იქნება.

23 წლის მოთამაშე უდინედან "პორტსმუთში" 7 მილიონ გირვანქად გადაბარგდა. პრემიერლიგაში მას წარმატებული სეზონი ჰქონდა. "ჩელსის" არ იყოს, "პორტსმუთის" მწვრთნელი **ჰარი რედნაპიც** აპირებს თურმე ზომების მიღებას იმისთვის, რომ განელი თავისთან დატოვოს. კი ამბობს, "ინტერს" ჩვენთვის წინადადებით არ მოუმართავსო, მაგრამ აი, "სქაი სპორტს" შეუტყვია, რომ "ნერაძურის" ფეხბურთელთან ნასწარი კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული. ამ შეთანხმების მიხედვით, მუნტარისთან 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. პირველ სეზონში განელი 1.7 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო თუ თავს გამოიჩენს, 2009 წლიდან უმალ ნახევარი მილიონით გამდიდრდება.

ერთადერთი, რაც იტალიის ჩემპიონს არ მოსწონს, ტრანსფერის საფასურია: 15 მილიონი გირვანქა ნამეტანიაო. "ფრეტონ პარკზე" ჩასვლას გეგმავს "ინტერის" სატრანსფერო გურუ **მარკო ბრანკა**, რომელიც ეცდება, "პორტსმუთს" ფასი 10 მილიონამდე დააგდებინოს. გამოვა კი რამე ამ საქმიდან?

### კუტინიო, ანუ მორატის თავისი პატო ჰყავს

თუ **სილვიო ბერლუსკონის** ალეშანდრე პატო ჰყავს, **მასიმო მორატი** ხომ არ ჩამორჩებოდა? აგერ, ერთი ბრაზილიელი ვუნდერკინდი "ინტერმაც" დაიბევა. "ნერაძურიმ" "ვასკო და გამადან" დიდი მომავლის მქონე, 16 წლის **ფილიპ კუტინიო** აიყვანა. ეს ოპერაცია 3 მილიონი გირვანქა დაჯდა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ იტალიაში მოქმედი წესების მიხედვით, კუტინიოს სერია A-ში თამაშის უფლება არ ექნება მანამ, ვიდრე 18 წლისა არ შეიქნება. თურმე, ამ ბიჭზე "ბარსელონასა" და "რეალსაც" ჰქონდათ თვალი დადგმული, მაგრამ ჩანს, "როსონერიმ" ბრაზილიელებს უკეთესი პირობები შესთავაზა. სხვათა შორის, თებერვალში "ვასკომ" ფიფაში წერილი აფრინა, "რეალი" ფეხბურთელის ოჯახს არალეგალურად დაუკავშირდაო...

და კიდევ ერთი ამბავი აპიანო ჯენტილედან: "ინტერმა" 20 წლის ურუგვაელი **სებასტიან რიბასი** ფრანგულ "დიჟონს" მიჰყიდა. უმაღლეს დივიზიონში მას ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, გასული სეზონის ნახევარი კი სერია B-ს ბინადარ "სპეციაში" გაატარა.

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

# რამონ კალდერონის ადგილზე ლამით მშვიდად არ დამეძინებოდა

## გვარდიოლა ფრანგ ვარსკვლავს ცენტრფორვარდად მოიაზრებს

“ბარსელონა” ახალი სეზონის დაწყებისთვის ინტენსიურად ემზადება. კატალონიურ გრანდს შარშან განცდილი წარუმატებლობების გამო სეზონის დაწყება საკმაოდ ადრე უწევს. ამის მიზეზი ის არის, რომ გასულ სეზონში კატალონიურმა გრანდმა მესამე ადგილი დაიკავა. ამიტომ ხოსეპ გვარდიოლას შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა მოუწევთ. მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის დღეს გვარდიოლამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტიერი ანრი მისი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახდება. არადა, მანამდე მიმომხილველები და გულშემატკივრები ვარაუდობდნენ, რომ ფრანგ ფორვარდს “კამპ ნოუდან” წასვლა მოუხდებოდა. პეპმა აბსოლუტურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო. მას სჯერა, რომ ანრი კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ჩაატარებს. გუშინ, ტიერის “დიარიო სპორტის” კორესპონდენტი გაესაუბრა. საუბარი “ბარსელონასა” და საფრანგეთის ნაკრებს შეეხებოდა.



**- მას შემდეგ, რაც ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეთ, “ბარსელონის” რამდენიმე ვარჯიში ვნახე და აღმოვაჩინე, რომ გვარდიოლა ძალიან დიდ დატვირთვებს გაძლევთ. ასეთი ინტენსიური ვარჯიშების ჩატარება ხომ არ გიჭირთ?**

- ჩვენ ერთთვიანი შვებულებიდან დავბრუნდით და ჯერჯერობით, დატვირთვების ატანა საკმაოდ გვიჭირს, მაგრამ ეს ბუნებრივი მოვლენაა. თითქმის ყოველთვის ასე ხდება, როდესაც არდადეგებიდან დაბრუნებული ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებ. შარშან “ბარსელონასთან” ერთად პრეტემპორადა სრულფასოვნად ვერ ჩავატარე. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. კატალონიაში გვიან ჩამოვედი. თანაც მიკროტრავმა მივიღე და ვარჯიში გვიან დავიწყე. შესაძლოა, შედარებით უფერულად ჩატარებული სეზონი ამის ბრალიც იყო. ამჯერად ყველაფერი რიგზეა. მიხარია, რომ პრეტემპორადას სრულფასოვნად ჩავატარებ. გვარდიოლას რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ ძალიან ნიჭიერი მწვრთნელი გვყავს. მჯერა, მასთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევთ.

**- სხვათა შორის, გვარდიოლამ პირდაპირ განაცხადა, რომ თქვენ მხოლოდ და მხოლოდ, ცენტრფორვარდად მოგიაზრებთ. წინა სეზონში ამ პოზიციაზე თამაში თითქმის არასოდეს გიწევდათ. საინტერესოა, გვარდიოლას გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?**

- პირდაპირ ვიტყვი, რომ ყველაზე დიდ სიამოვნებას სწორედ ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშის დროს ვიღებ. ვფიქრობ, მე სწორედ ამ ამპლუის ფეხბურთელი ვარ, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო წინა სეზონში ფლანგზე მიწევდა თამაში. თითქმის მთელ დროს აბიდალის დაზღვევასა და დახმარებას ვანდომებდი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ დაცვის სიღრმეში მიწევდა ჩასვლა. იოლი არ არის, როცა 70-მეტრიან დრიბლინგს განახორციელებ, მაშინვე თავდასხმაში დაბრუნდე და გოლი გაიტანო. იმედია, ცენტრფორვარდის პოზიციაზე დაბრუნებით სტაბილურობას მივაღწევ და უკეთესად ვითამაშებ.

**- ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უსახურად ჩატარებულ სეზონს ფრენკ რაიკაარდს აბრალებთ.**

- არა, ეს აზრადაც არ მომსვლია. გარწმუნებთ, არ ვფიქრობ, რომ გასული სეზონი რაიკაარდის გამო ჩავატარე უსახურად. ამის მტკიცება უსინდისობა იქნება. ფრენკმა მარცხენა ფლანგზე ობიექტური მიზეზების გამო დამაყენა. ცუდი თამაშის მთავარი და ერთადერთი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ფორმაში არ ვიყავი. ტრავმის გამო სრულფასოვნად ვერ ვვარჯიშობდი. ეს არის და ეს.

**- გვარდიოლას ვარჯიშების სპეციფიკურობის შესახებ გულშემატკივრებმა პირველივე დღეებში შეიტყვეს. ახლა ყველამ იცის, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებს. ხომ არ შიშობთ, რომ ამით ტექნიკის დასახვეწად დრო აღარ გეყოფათ და “ბარსას” სტილი დაიკარგება?**

- პირიქით. როცა ფიზიკურად კარგად ხარ მომზადებული, ტექნიკური თამაშიც უკეთ გამოგდის. დრიბლინგებსა და ფინტებს ძალა სჭირდება. “ბარსას” სტილი, რა თქმა უნდა, მხოლოდ დრიბლინგი და ფინტი არ არის. პირველ რიგში, კომბინაციები უნდა დაიხვეწოს. ჩვენც სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. გვარდიოლამ “კამპ ნოუზე” თამაშით გაითქვა სა'ელი და კატალონიურ საფეხბურთო გემოვნებას ვერავინ ასწავლის. მომავალს უდიდესი ოპტიმიზმით ვუყურებ. ეჭვი არ მეპარება, რომ ახალ სეზონში გაცილებით უკეთ ვიასპარეზებთ.

**- რონალდინიოსა და დეკუს წასვლის მიუხედავად?**

- ძალიან გთხოვთ, ამ ტრანსფერების შეფასებას მე ნუ მომთხოვთ, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ რონალდინიომ “ბარსელონაში” უდიდესი ეპოქა შექმნა. ის ამ კლუბის ისტორიაში სამუდამოდ ჩაეწერა. გულშემატკივრებს ათწლეულების შემდეგაც ეცოდინებათ, რომ “კამპ ნოუზე” ერთი მხიარული ბრაზილიელი ჯადოქარი თამაშობდა. გულწრფელად გეტყვით, დეკუს ღვაწლსაც ჯეროვნად ვაფასებ. ნახევარდაცვაში ის საოცრებებს ჩადიოდა. ასეთი დონის ფეხბურთელების წასვლის მიუხედავად, “ბარსელონის” პოტენციალი არ მცირდება. თანაგუნდელების შესაძლებლობებს მშვენივრად ვიცნობ. ვიცი, ბიჭები თავს არ დაზოგავენ და საერთო ძალისხმევით თამაშის ხარისხს საგრძნობლად გამოვასწორებთ. ეს კი ტიტულების მოპოვების წინაპირობა გახდება.

**- რონალდინიოს წასვლამ გული არ დაგწყვიტათ?**

- ის “ბარსელონიდან” წავიდა, თორემ ჩვენი მეგობრობა არ დასრულებულა. მაპატიეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გითხრათ, რომ ტრანსფერს ვერ შევაფასებ. მას უდიდეს წარმატებებს ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიელი ფორმას მალე აღიდგენს და ისევ ფანტასტიკურად ითამაშებს. შეუძლებელია, მისი ასაკისა და, რაც მთავარია, ნიჭის ადამიანმა ჩავარდნა ვერ დაძლიოს.

**- მოკლედ, გარკვეულია, რომ მომავალი სეზონიდან ცენტრფორვარდის პოზიციაზე ითამაშებთ. ამით თქვენი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ხომ არ მეტყვით, რამდენი გოლის გატანას გეგმავთ?**

- მახსოვს, რონალდომ “რეალში” გადასვლის შემდეგ პირობა დადო, ყველა ტურნირში ჯამში 30 გოლს გავიტანო. მას შემდეგ, ამ თემაზე საუბარი პოპულარული გახდა, მაგრამ მარათონში მე ვერ ჩავებმები. წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, გასულ სეზონზე გაცილებით უკეთესი შედეგები მექნება. შარშან ცუდ ფორმაში ვიყავი და შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ვამჟღავნებდი. მიუხედავად ამისა, ყველა ტურნირის ჯამში 19 ბურთი შევაგდე. წარმოიდგინეთ, საუკეთესო ფორმაში რომ ვიყო, რამდენს გავიტან (იცინის). არ მინდა, ცრუ დაპირება მოგცეთ. უბრალოდ, გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ ძალიან ბევრს ვიმუშავებ. ხარვეზებს გამოვასწორებ და “ბარსელონას” დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დავეხმარები.

**- ლეო მესის ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა “ბარსელონის” ხელმძღვანელობის მთავარ პრობლემად იქცა. თქვენ რას ფიქრობთ? უნდა წასულიყო თუ არა მესი პეკინში?**

- ეს ბანალური ისტორიაა. ფეხბურთელი ერთია, მისით დაინტერესებული გუნდი კი – ორი. “ბარსელონა” ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეცდომა არ უნდა დაუშვას. ეს კატასტროფა იქნება. რასაკვირველია, მესი ჰაერივით დაგვჭირდება, მაგრამ ის არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებსაც სჭირდება. არ ვიცი, მე ფეხბურთელი ვარ და ასეთ გადაწყვეტილებებს არ ვიღებ. მხარეები ალბათ გულწრფელად დაილაპარაკებენ და საკითხვს ნათელს მოფენენ. ჩემი აზრით, პირველ რიგში, ალბათ, თავად ლეოს პოზიცია უნდა გაითვალისწინონ.

**- გუნდის ახალწვეულებზე რას მეტყვით? ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?**

- არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე კარგად დანიელ ალვესსა და ალექსანდრ გლებს ვიცნობ. მათი გადმოსვლა ძალიან გამიხარდა. ისინი არაჩვეულებრივი ფეხბურთელები არიან. აი, ნახავთ, გლები “ბარსელონაში” კარგად ჩაეწერება და ნახევარდაცვას სერიოზულად გააძლიერებს. ბელორუსს გასაოცარი ტექნიკა აქვს და “ბარსა” შესაძლებლობების გამომჟღავნებაში დაეხმარება. გლებს სწორედ ასეთი სტილის გუნდი სჭირდებოდა. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, კასერესი და კეიტაც მაღალი დონის მოთამაშეები არიან. პიკე კი ალბათ მომავლის ვარსკვლავია.

**- საფრანგეთის ნაკრებზე რამდენიმე კითხვას დაგისვამთ. ევროპის ჩემპიონატზე სრული ფიასკო განიცადეთ. რა იყო ამისი მიზეზი?**

- ამა თუ იმ მიზეზის გამო ტურნირს ძალიან ცუდად მომზადებული შევხვდით. ამის გამო კონკურენციას ვერ გავუძელით და თავი შევირცხვინეთ. ჯგუფში ჩარჩენა სირცხვილია და სხვა არაფერი.

**- გულშემატკივრები ყველაფერს რაიმონ დომენეკს აბრალებენ. გულწრფელად მითხარით, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერიოზული შეცდომები დაუშვა?**

- ევრო 2008-ზე უშეცდომოდ რომ გვეასპარეზა, ჩემპიონები გავხდებოდით. რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ყველაფრის დომენეკზე დაბრალება უნამუსობა იქნება. სამწუხაროდ, 2006 წლის მუნდიალზე დამაჯერებელი ასპარეზობის შემდეგ ევროპის პირველობაზე შესაძლებლობების მეოთხედიც ვერ გამოვამჟღავნეთ. ფაქტობრივად, არცერთი ფეხბურთელი არ იყო ფორმაში, მათ შორის, არც მე. დომენეკი ამ სიტუაციაში ბევრს ვერაფერს გახდებოდა. რას ვიზამთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

**- დასასრულს კრისტიანო რონალდოზეც გკითხავთ. თქვენი აზრით, პორტუგალიელი ვარსკვლავი “რეალს” დაუმარცხებელ გუნდად აქცევს?**

- დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებს. თუმცა ის კი ფაქტია, რომ კრისტიანო რონალდო სამეფო კლუბს ერთი ორად გააძლიერებდა. დამეთანხმებით, პორტუგალიელი ვარსკვლავის სატრანსფერო მოლაპარაკებები დიდ სკანდალში გადაიზარდა. არსენ ვენგერისა და ალექს ფერგიუსონის ინტერვიუები წავიკითხე. ისინი ისეთ რალაცებს ამბობენ, რამონ კალდერონის ადგილზე ლამით მშვიდად არ დამეძინებოდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

არსენალი

# იუვენტუსელები ლონდონში?

## კოლო ტურეც ისვენებს. ლონდონელი სკაუტები პეკინში ტურინელ ახალგაზრდებს დააკვირდებიან

“არსენალი” ახალ სეზონს შესუსტებული შემადგენლობით დაიწყებს. მოსამზადებელ ეტაპს **კოლო ტურეც** გამოეთიშა. კოტდივუარელ მცველს მალარიის დიაგნოზი დაუსვეს და საავადმყოფოში უკრეს თავი. მას ავადმყოფობის სიმპტომები ბუდაპეშტში განუვითარდა. ფეხბურთელმა თავი შეუძლოდ იგრძნო. “ჰალადაშთან” ამხანაგური მატჩისას (1:1), ის სასტუმროში დატოვეს. საბრალო კოლო ტურეს სიცხემ აუწია. ამიტომ ექიმების ჩარევა გახდა საჭირო. მედიკოსებს ვითარებაში გარკვევა არ გასჭირვებიათ. როგორც ჩანს, ფეხბურთელი კოტ დივუარში ყოფნისას დაავადდა. მის სამშობლოში მალარია ფართოდ გავრცელებული ავადმყოფობაა. კოლო ტურემ შინ სულ რალაც ერთი კვირა გაატარა, თუმცა მძიმედ დაავადებისათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

**არსენ ვენგერი** კოლო ტურეს არყოფნას როგორმე გადაიტანს. სამაგიეროდ, ნახევარდაცვაში კრიტიკული მდგომარეობა აქვს. მოსიე არსენი **ფრანსესკ ფაბრეგასის** პარტნიორს ეძებს. “არსენალი” ოთხ ნახევარმცველს - **მატიო ფლამინის, ჟილბერტო სილვას, ლასანა დიარასა და ალექსანდრ გლებს** გამოეთხოვა. კამერუნელი **ალექსანდრ სონგი** ოლიმპიადაზე მიემგზავრება. ის ლონდონელებს აგვისტოს ბოლომდე ვერ დაეხმარება. ვენგერი “ასტონ ვილასთან” მოლაპარაკებებს არ წყვეტს. “მეთოფეების” თავკაცს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი **გარეთ ბერის** ხელში ჩაგდება. მოგეხსენებათ, ამ ფეხბურთელს “ლივერპულიც” ეპატიჟება, თუმცა ბოლო დღეებში მხოლოდ “არსენალი” აქტიურობს.

ვენგერი პეკინის ოლიმპიადაზე სკაუტებს გაგზავნის. მას იტალიის ოლიმპიური ნაკრების ორი ფეხბურთელი **კლაუდიო მარკიზიო** და **სებასტიან ჯოვინკო** აინტერესებს. მარკიზიო 22 წლისაა, ჯოვინკო 21-ის. ორივე მათგანი “იუვენტუსის” საკუთრებაა.

**შალვა ბიბილაშვილი**




კოლო ტურეს მალარია შეეყარა

ტყუილი თუ...

# რობინიო: მიზეზი მართლა ტრავმაა?

"ჩელსის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ **რობინიოს** უმოკლეს ხანში გაუფორმებს კონტრაქტს. "ინდეპენდენტის" ცნობით, გარიგება ორი კვირის განმავლობაში შედგება. რობინიოს აგენტი **ვაგნერ რიბეირო** ლონდონში იმყოფებოდა. ის "არისტოკრატებთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მხარეები 24 წლის თავდამსხმელის ფასზე ჯერაც არ მორიგებულან. "ჩელსისთან" დაახლოებული წყარო იუწყება, რომ კლუბი რობინიოს სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქაზე მეტს არ გადაიხდის. იმავე წყაროს მტკიცებით, ფეხბურთელთან კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეთანხმებულია. ვაგნერ რიბეირო ირწმუნება, რომ რობინიოს "ჩელსიში" თამაში სურს და რომ მადრიდის "რეალი" მზადაა, ფეხბურთელის სარფიან ფასში გაყიდოს.

სხვათა შორის, ბრაზილიელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ რობინიოს ოლიმპიური ნაკრებიდან ამოვარდნაც ამ ტრანსფერს უკავშირდება. ფეხბურთელის ტრავმა სულაც არ იყო ისეთი შემაშფოთებელი, რომ თავდამსხმელს პეკინში ვერ ეთამაშა. "რეალმა" რობინიოს ესპანეთში დატოვება იმიტომ დაიჟინა, რომ "ჩელსიში" გაყიდოს. ოლიმპიადაზე გამგზავრების შემთხვევაში, ფორვარდი ლონდონში აგვისტოს ბოლომდე ვერ ჩავიდოდა. ბრაზილიაში რობინიოს გულწრფელობაშიც ეჭვი ეპარებათ. მას რომ მოენდომებინა, პეკინში აუცილებლად წავიდოდა, **დიეგოსა და რაფინიასაც** ხელს უშლიდნენ, მაგრამ ჩინეთში მაინც მიემგზავრებიანო.



მანჩესტერ სიტი

# აქაც სანტა კრუსი, და მილიტოც...

"მანჩესტერ სიტის" როკე სანტა კრუსის შეძენა სურს. **მარკ ჰიუზი** თავის ყოფილ კლუბ "ბლექბერნს" კომპენსაციის სახით, 15 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. სპეკულაციების თანახმად, პარაგვაელ თავდამსხმელს ორი ლონდონური კლუბი - "არსენალი" და "ტოტენჰემი" ეპატიჟება. მაგრამ ამხელა თანხის დახარჯვას არც ერთი მათგანი არ აპირებს. სანტა კრუსმა შარშანდელ სეზონში 19 გოლი გაიტანა და "ბლექბერნის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

"სიტის" შეტევის ხაზში პრობლემები აქვს. ნიგერიელმა **ბენჯანი მვარუვარიმ** ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და ხანგრძლივი ვადით ჩამოშორდა მინდორს. მანჩესტერელებს პრემიერლიგის პირველ ტურებში ბრაზილიელი ახალწვეული **ჟოც** ვერ დაეხმარება. ეს უკანასკნელი ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ვაჟიშობს. შეგახსენებთ, ჟო მოსკოვის ცსკა-დან 19 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ის "სიტის" ისტორიაში უძვირესი ფეხბურთელია. თუ ჰიუზი სანტა კრუსს ვერ დაეუფლება, სარაგოსელი **დიეგო მილიტოს** ტრანსფერზე დაიწყებს ზრუნვას. ეს უკანასკნელი ორჯერ იაფი, 7 მილიონი გირვანქა ღირს.

# სერ ალექს ფერგიუსონი

# ლივერპულის რეკორდი აუცილებლად დაემხობა

ინგლისის ათგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, სერ ალექს ფერგიუსონი, თანამედროვე საკლუბო ფეხბურთის ყველაზე დაფასებული და წარმატებული მწვრთნელია. 66 წლის სპეციალისტი სახელოვანი კარიერის დასასრულს უახლოვდება. ფერგი ამბობს, რომ დღევანდელი გუნდი საუკეთესოა, რაც კი "ოლდ ტრეფორდზე" ოცწლიანი მოღვაწეობისას ჰყოლია. "დეილი მეილის" მიმომხილველი იან ლედიმენი სერ ალექსს დურბანში შეხვდა. მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედი" სამხრეთ აფრიკაში შეკრებას მართავს. მან უკვე ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება მოასწრო. შაბათს, იოჰანესბურგში, "უმბაკები" "კაიზერ ჩიფსს" შეხვდნენ და 1:1-ს დასჯერდნენ. სამშაბათს, დურბანში, "იუნაიტედის" მეტოქე "ორლანდო პაირეტსი" იყო. ინგლისელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. ფერგის ინტერვიუც ამ ქალაქში ჩაიწერა...



**- არა ერთხელ გითქვამთ, ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაუფლებაო. რატომ გგონიათ, რომ კვლავ ინგლისის ჩემპიონები გახდებით?**

- იმიტომ, რომ კარგი გუნდი გვყავს. შემადგენლობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა საგრძნობლად მოუმატეს. ზოგიერთს უფრო მეტი შეუძლია. ანდერსონი, უეინ რუნი, კარლოს ტევესი, ნანი - ისინი ახალგაზრდა ვარსკვლავები არიან, რომელთაც საუკეთესო წლები წინ აქვთ. დარწმუნებული ვარ, უკეთ ითამაშებენ მაიკლ ქერიკი და ოუენ ჰარგრივსი. ქერიკს საკუთარი თავის რწმენა დღითი დღე ემატება. ჰარგრივსი კი, იმედია, მალე გამოჯანმრთელდება. მას დიდ იმედებს ვუკავშირებთ.

**- უეინ რუნი იმდენი ხანია, უმაღლეს დონეზე თამაშობს, რომ ლამისაა, დაგვავიწყდეს მისი ასაკი. ის მხოლოდ 22 წლისაა. თქვენი აზრით, ასაკის მომატებასთან ერთად, რუნი უკეთეს ფეხბურთს ითამაშებს?**

- ასე გიპასუხებთ: ჩვენი ამოცანაა, ზუსტად განვუსაზღვროთ ფუნქციები. გასულ სეზონში რუნიმ კლუბის გულისთვის დიდი მსხვერპლი გაიღო. მას გამუდმებით ვუცვლიდით პოზიციას. სეზონის უმეტესი ნაწილი ნახევარდაცვაში გაატარა. არა ერთხელ გავამწესეთ ფლანგზე. მას არც ჩემპიონთა ლიგის ფინალში უთამაშია შეტევაში, მაგრამ დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა. ფინალური მატჩისას, მეორე ტაიმში, როდესაც "ჩელსიმ" ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, იძულებული გავხდით, სათამაშო სქემა შეგვეცვალა. რუნის მთელი პოტენციალის გამოვლენის საშუალება აღარ მიეცა.

**- ბოლო წლებში, უეინს ბევრი გოლი ველარ გააქვს. ამაში თქვენც ხომ არა ხართ დამნაშავე?**

- ნაწილობრივ, ალბათ, ვარ. რუნის საკუთარი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა უხდება, მაგრამ პრეტენზიებს არ გამოთქვამს. უეინი ნამდვილი პროფესიონალია. დარწმუნებული ვარ, გოლების გატანასაც მოუხშირებს. გასულ სეზონში შვიდ, თუ რვათამაშიანი მშრალი სერია ჰქონდა. შემდეგ, "ასტონ ვილასთან" მატჩისას, დუბლი შეასრულა. მეგონა, მომდევნო მატჩებშიც გაიტანდა, მაგრამ ისევ პოზიცია შევუცვალეთ. გასაკვირი არ არის, რომ უეინის შედეგიანობამ იკლო. როგორც აღვნიშნე, მისი ფუნქციები უკეთ უნდა განვსაზღვროთ.

**- რომელ პოზიციაზე თამაშობს ის ყველაზე უკეთ?**

- ჩემი დაკვირვებით, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე, ან მის უკან. შესაძლოა, უკეთ ეთამაშა, თავდასხმის ცენტრში გამოცდილი ფეხბურთელი რომ გვყავდეს. ახალგაზრდა თავდამსხმელები გამოცდილი პარტნიორის გვერდით ყოველთვის უკეთ გრძნობენ თავს. ის 22 წლისაა. მან კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. რუნი 18 წლისა შევიძინეთ. ამ ასაკის ფეხბურთელებს პერსპექტივისთვის ყიდულობენ. ამიტომაც გადავიხადეთ 26 მილიონი გირვანქა. გავა რამდენიმე წელიწადი და დავრწმუნდებით, რომ რუნის ტრანსფერში დახარჯული თითოეული გირვანქა გამართლებული იყო. უეინის ადგილას სხვა ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, შეიძლება, უკმაყოფილება გამოეთქვა. ბევრმა ზუსტად იცის, რომელია მათთვის ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია. მათ მხოლოდ ამ პოზიციაზე თამაში სურთ და მწვავედ რეაგირებენ, თუ მწვრთნელმა განსხვავებული ფუნქციის შესრულება დაავალა. მათ თავის ატკიება არ სურთ. რუნის სირთულე არ აშინებს. დარწმუნებული ვარ, ნახევარდაცვის ცენტრში რომ დავაყენოთ, იქაც საუცხოოდ ითამაშებს.

**- "ჩელსიში" კვლავ დიდი ცვლილებებია. თქვენი აზრით, მიაღწევს თუ არა წარმატებას ლუიშ ფელიპე სკოლარი?**

- "ჩელსის" ამბებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ავრამ გრანტმა ნაყოფიერად იმუშავა. ჟოზე მოურინიომ ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონატი. მან "მანჩესტერ იუნაიტედი" ასოციაციის თასის ფინალში დაამარცხა. მოურინიოს შედეგის გაუმჯობესება ადვილი არ არის. შეშფოთების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ ახალი მწვრთნელი მოურინიოზე მეტს მიაღწევს. მომავალი სეზონი "ჩელსის" ძველი და ახალი სახეებისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება. ლონდონელებს გამოცდილი მოთამაშეები ჰყავთ. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ ყველაზე მეტად ის მაფიქრებდა, რომ მეტოქე ჩვენზე უფრო გამოცდილი ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული. მაგალითისთვის, მიხაელ ბალაკი ავიღოთ. მას არა ერთ მნიშვნელოვან მატჩში უთამაშია, მაგრამ შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჩვენ გავიმარჯვეთ. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ მიზეზს, რომ "ჩელსის" კიდევ გვეშინოდეს. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მისი ფეხბურთელები შარშანდელზე უკეთ ითამაშებენ.

**- სკოლარის ევროპული კლუბი არასოდეს გაუწვრთნია. თქვენი აზრით, არის თუ არა ეს ხელის შემშლელი ფაქტორი?**

- სკოლარი იღბლიანი მწვრთნელია. ის დიდ კლუბში დაინიშნა, სადაც სხვადასხვა ნაკრების ვარსკვლავები დახვდნენ. მაგრამ არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამ გუნდით შარშანდელზე მეტის მიღწევა. საკითხავია, შეუძლიათ თუ არა "ჩელსის" ფეხბურთელებს თამაშის ხარისხის გაუმჯობესება.

**- იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ მათ კარიერის საუკეთესო წლები გავლილი აქვთ?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. შეხედეთ მათ ასაკს. კალუსა და ობი მიკელის გარდა, ყველა 30 წელსაა მიტანებული. ბალაკი სულაც 32 წლისაა. არ ვამბობ, ბებრები არიან-მეთქი. დღეს ისეთი სავარჯიშო მეთოდები გამოიყენება, რომ 30-ს გადაცილებულსაც შეგიძლია ითამაშო. იმის თქმა მინდა, რომ 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელებით თვალსაჩინო პროგრესის მიღწევა ძნელია.

**- იცნობთ სკოლარის?**

- არა, თუმცა საკლუბო მუნდიალისას შევხვდით და გავიმარჯვეთ. მგონი, ინგლისურიც არ იცის, ხომ ასეა? მას ბევრ კლუბში უმუშავია და წლების განმავლობაში დიდი ცოდნა დააგროვა. ეს უდავოდ მის სასარგებლოდ მეტყველებს. სკოლარი ბრაზილიის მწვრთნელი იყო და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. შემდეგ პორტუგალიაში გაემგზავრა...

**- "ლივერპული" და "არსენალი" ხომ არ ჩამოწერეთ?**

- არავითარ შემთხვევაში. "არსენალმა" გასული სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო. სანამ გუნდს ტრავმები შეასუსტებდა, პირველ ადგილზე იმყოფებოდა. ლონდონელებს ფეხბურთელები უდროო დროს დაუშავდათ. თებერვალში თითქმის მთელი ნახევარდაცვა ხელიდან გამოეცალათ. განა, "არსენალი" ფავორიტი არ იქნებოდა, ყველა ლიდერი რომ ჯანმრთელად ჰყოლოდა?

**- როგორ გგონიათ, რატომ ტოვებენ "არსენალს" საუკეთესო ფეხბურთელები?**

- მე როგორც ვიცი, ყველაფერი იმ ვალის ბრალია, რომელიც სტადიონის აშენების გამო დაუგროვდათ.

**- წელიწადში რამდენ დღეს უთმობთ დასვენებას, სანამ მომდევნო სეზონზე დაიწყებდეთ ფიქრს?**

- როდესაც ახალი სეზონის კალენდარი სასტუმროში ფაქსით გადმომიგზავნეს, გავიფიქრე, რომ ამაზე საშინელი განრიგის მოფიქრება შეუძლებელი იყო. პირველსავე ტურებში ვხვდებით "პორტსმუთს", "ლივერპულს", "ჩელსისა" და "ნიუკასლს". ჩემპიონატის პირველ წრეში ყველა საუკეთესო გუნდს - "ლივერპულს", "პორტსმუთს", "ჩელსის", "არსენალს", "ევერტონს", "ბლექბერნს", "ტოტენჰემსა" და "ასტონ ვილას" სტუმრად ვეთამაშებით.

**- ესე იგი, პირველმა წრემ, შეიძლება, მთელი ჩემპიონატის ბედი გადაწყვიტოს?**

- გააჩნია, როგორ ვითამაშებთ. ქულები არ უნდა გავანიავოთ. ქულების გაფანტვის უფლება არ გვაქვს.

**- კარლუშ კეიროშის წასვლის შემდეგ, საწვრთნელ პროცესში ალბათ, უფრო აქტიურად ჩაერთვებით...**

- საწვრთნელ პროცესში ყოველთვის აქტიურად ვიყავი ჩართული. სხვა საკითხია, რომ კარლუშის წასვლა დიდი დანაკლისია. ის გამოცდილი მწვრთნელია, დიდებული ორგანიზატორი და საუკეთესო თანაშემწე. გასულ სეზონში ჩვენს მწვრთნელს, მაიკ ფელანს მუხლი აწუხებდა. ამიტომ ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფებოდა. ახლა ის ჯანმრთელადაა და უფრო აქტიურად იმუშავებს. სამწვრთნელო შტაბი სეზონს მომზადებული შეხვდება. ჯერ კიდევ ვფიქრობ, მოვიყვანოთ თუ არა უფრო გამოცდილი ასისტენტი.

**- ახალი ასისტენტი უცხოელი ხომ არ იქნება? "მანჩესტერ იუნაიტედს" ხომ არა ერთი უცხოელი ფეხბურთელი ჰყავს...**

- შესაძლოა, ასეც იყოს. "იუნაიტედში" ესპანურ და პორტუგალიურენოვანი კონტინგენტი გვყავს. ვინც არ უნდა დაინიშნოს კეიროშის ადგილზე, მისი დამსახურება არ უნდა დავივიწყოთ. მან გუნდში ბევრი სიახლე დანერგა. მაგალითად, ერთის ნაცვლად სამი ექიმი გვყავს. სამხრეთ აფრიკაში, 16-კაციანი სამწვრთნელო შტაბით ჩამოვედით.

**- ხუთი წლის წინათ, კარლუში წავიდა, მაგრამ დაბრუნდა. შესაძლებელია თუ არა, ის კვლავ თქვენს ასისტენტად ვიხილოთ?**

- მოგეხსენებათ, კარლუში პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მან ოთხწლინახევრიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ეს ძალიან დიდი დროა. ამიტომ მიჭირს რაიმეს თქმა. დაზუსტებით იმასაც ვერავინ გეტყვით, ოთხწლინახევრის შემდეგ ცოცხლები ვიქნებით თუ არა.

**- "ლივერპული" ინგლისის 18-გზის ჩემპიონია. "მანჩესტერს" მისი რეკორდისგან ერთი ტიტულიღა აშორებს. არის თუ არა თქვენთვის "ლივერპულის" რეკორდის დამხობა მოტივაცია?**

- არა მგონია. ლივერპულელთა რეკორდი ისედაც დაემხობა, თუმცა არავის დაუვალებია, გინდათ თუ არა მერსისაიდელებს გაუსწარითო. "ლივერპული" პატივისცემას იმსახურებს. ამ გუნდთან ყოველი შეხვედრისას, უცნაური მღელვარება მეუფლება. წინასწარ იცი, რომ უშეღავათო თამაში იქნება, რომ მეტოქე არაფერს დაგითმობს, ბოლო წუთამდე იბრძოლებს და მათ სტადიონზეც გაუსაძლისი ხმაური იქნება. "ლივერპულთან" თამაში დერბიზე უფრო დიდი მოვლენაა. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ამ თამაშის მნიშვნელობა ოდნავადაც არ შემცირდება. ჩემი აზრით, პირველი ოთხი ადგილი ისევ იმ კლუბებს შეხვდებათ, რომელთაც ეს ადგილები გასულ სეზონში გაიყვეს. ვფიქრობ, შეუძლია, თუ არა რომელიმე კლუბს ოთხეულში შეღწევა, მაგრამ ასეთს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ.

**- თუ "ტოტენჰემის" საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა განაგრძეთ, რა თქმა უნდა, ასეთი გუნდი კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება.**

- "ტოტენჰემშიც" დიდი ცვლილებებია. მგონი, ოთხი-ხუთი ფეხბურთელის გაყიდვას აპირებენ...

**- "მანჩესტერ სიტის" ახალ მწვრთნელზე რას ფიქრობთ?**

- სპარკი (მარკ ჰიუზის მეტსახელია - რედ.) საუცხოო არჩევანია. ის "ბლექბერნიდან" კარგ დროს წამოვიდა. "ბლექბერნის" წამყვან ფეხბურთელებს კონტრაქტები ერთი წლის შემდეგ უმთავრდებათ. მან იქ საკუთარი თავი ამოწურა. მარკმა დაამტკიცა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია.

**- როგორ ფიქრობთ, თუ პრემიერლიგის კლუბებს უცხოელი მილიარდერები შეიძენენ, გაიზრდება თუ არა კლუბის საქმეებში მათი ჩარევის საფრთხე?**

- საამისო ნიშნები სახეზეა. მაგალითად, "ჰართსის" მფლობელი მწვრთნელს, ფაქტობრივად, მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

**- "მანჩესტერ იუნაიტედი" ძლიერ თავდამსხმელს ეძებდა. ხომ არავინ გიპოვიათ?**

- ამ საქმეს კარგა ხანია, შევეშვით.

**- კრისტიანო რონალდოს შესახებ ახალს ხომ არაფერს გვეტყვით?**

- არა.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ვარსკვლავი

# კრისტიანოს ახალი გოგო

## მანჩესტერელ ვარსკვლავს ფეხბურთისთვის ჯერ არ სცალია

**კრისტიანო რონალდოს** ახალი გერლფრენდი ჰყავს. იტალიური სააგენტოების ცნობით, მას **ლეტიცია ფილიპი** ჰქვია. იტალიელი მიმომხილველები გვაუწყებენ, რომ რონალდო ლეტიციას სარდინიაში გატარებული შვებულებისას შეხვდა. პორტუგალიელი ვარსკვლავი სარდინიაში მარტო არ ყოფილა. იმხანად მას ესპანელი ლამაზმანი **ნერეიდა გალიარდო** უმშვენებდა გვერდს. ლეტიციასთან შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, რონალდო და ნერეიდა დაშორდნენ. კრისტიანო ლოს ანჯელესში გაემგზავრა და პაპარაცებს თუ დავუჯერებთ, სამი დღის განმავლობაში ოთხი ქალბატონი გამოიცვალა.

ლეტიცია ფილიპი "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავზე შვიდი წლით უფროსია.ის რომში ცხოვრობს. სახელი კი მაშინ გაითქვა, როდესაც 1994 წელს მის იტალიაზე მესამე ადგილი დაიკავა. ამ წარმატებას სატელევიზიო კარიერა მოჰყვა. ტელევიზიაში მუშაობისას, განთქმულ იტალიელ სამთო მოთხილამურეს, **ალბერტო ტომბას** შეხვდა და მასთან ორწლიანი რომანი გააბა. ტომბასთან დაშორების შემდეგ, ქალბატონი ფილიპი "ნაპოლისა" და "პარმის" ყოფილ ფეხბურთელს, **მასიმო კრიპას** ხვდებოდა. ახლა, როგორც ჩანს, კრისტიანო რონალდოს ჯერია.




როგორც ამბობენ, ლეტიცია ფილიპი კრისტიანო რონალდოს ახალი გერლფრენდია

ლივერპული

# ბენიტესმა დიეგო მოიკითხა

## კინი ორ-სამ დღეში

"ლივერპულს" ახალი საქმე გამოუჩნდა. მერსისაიდელები **დიეგოს** გარშემო მიმდინარე მოვლენებს ადევნებენ თვალს. ბრაზილიელი ნახევარმცველი ბრემენის "ვერდერის" საკუთრებაა. **კარლოს დუნგამ** ის ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებში გამოიძახა. დიეგომ ოლიმპიადაზე გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ "მუსიკოსების" წინააღმდეგობას წააწყდა. მხარეთა შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო. "ვერდერმა" დიეგოს პეკინში გამგზავრება აუკრძალა. დიეგომ კლუბის გადაწყვეტილება არად ჩააგდო და პარიზს მიაშურა.

დუნგას შეგირდები ოლიმპიადის წინ პირველ შეკრებას საფრანგეთში მართავენ. "ვერდერმა" დიეგოს დაჯარიმება გადაწყვიტა, ამას გარდა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას სასამართლოში უჩივლა. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ასეთი საქციელით, დიეგოსა და გერმანულ კლუბს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბება. თუ ასე მოხდა, "ლივერპული" მზად უნდა იყოს, რათა ბრაზილიელ ვარსკვლავს გაუფორმოს კონტრაქტი.

სხვათა შორის, ოლიმპიადასთან დაკავშირებული პრობლემა "ლივერპულსაც" აწუხებს. მერსისაიდელთა ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო** არგენტინის ნაკრებშია გამოძახებული. მისი გაშვება არც **რაფა ბენიტესს** სურს. თუ "ვერდერი" სასამართლო პროცესს მოიგებს, მისი გამარჯვებით შეიძლება "ლივერპულმაც" ისარგებლოს.

ლივერპულელები დარწმუნებულები არიან, რომ **რობი კინი** მათ დარჩებათ. "სანის" ცნობით, მერსისაიდელები ტრანსფერის სრულყოფას კვირის ბოლომდე ვარაუდობენ. ტაბლოიდის მტკიცებით, ლონდონურ კლუბს 20 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# სენსაცია კანი კლინსის შეურიგდა!

## რეკორდმაისტერმა სეზონი გახსნილად გამოაცხადა



სეზონის გახსნა, ლია ვარჯიში ბაიერნში: კლინსმანი შეგირდებს მითითებებს აძლევს

**იურგენ კლინსმანს** ღია ვარჯიშების ჩატარება არ უყვარს - გერმანიის ნაკრებში მუშაობისას ვარჯიშებზე ფანებს არ აჭაჭანებდა ხოლმე. მაგრამ "ბაიერნში" კლინსის სტილის ოდნავ შეცვლა უწევს: გუშინწინ, რეკორდმაისტერმა ახალი სეზონი დორტმუნდის "ბორუსიასთან" სასუპერთასო მატჩის წინ, ოფიციალური, საჯარო ვარჯიშით გახსნა, რომელსაც "ალიანს არენაზე" 10 000 გულშემატკივარი დაესწრო. ქომაგებმა თავიანთ საყვარელ გუნდს აპლოდისმენტები უძღვნეს, განსაკუთრებული ტაშით კი ტრავმირებული **ფრანკ რიბერი** დააჯილდოვეს, რომელიც ასევე თანაგუნდელებთან ერთად იყო.

მიუნხენური კლუბის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** რეზონანსით უაღრესად კმაყოფილი დარჩა. 10 000 მაყურებელი შესანიშნავი შედეგია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს "ბაიერნი" შარშანდელზე კიდევ უფრო მეტად აინტერესებსო. *"დიდი მადლობა იურგენ კლინსმანს იმისთვის, რომ მზადაა, ლია ვარჯიში ჩაატაროს,"* - ეს სიტყვები ჰიონესმა ვარჯიშის დაწყებამდე მიკროფონში ჩასძახა.

ახალ სეზონამდე სამი კვირაა დარჩენილი, ჩემპიონთა ლიგის სტარტამდე კი კიდევ უფრო "შორია", მაგრამ ბაიერნელები ბუნდესლიგაზე მეტად ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობენ. *"ჩვენ ყველანი ვიმედოვნებთ, რომ ეს არ არის ფუჭი ოცნება. აბსოლუტურად ყველა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაზე და მის მოგებაზე ოცნებობს. ამ მიზნის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რეალური იყოს,"* - აცხადებს "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

პირველ ლია ვარჯიშზე რეკორდმაისტერმა ახალი ფორმაც წარმოადგინა, რომელსაც პირველად აქვს 4 საჩემპიონო ვარსკვლავი. ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერნი" ულამაზესი თეთრი ფორმით ითამაშებს, გერმანიის პირველობაზე კი მუქი ლურჯი ფორმით.

"ალიანს არენაზე" გახლდათ ფრანკ რიბერიც, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაშავებულია. როგორც იცით, ფრანგი დრიბლიორი იტალიასთან მატჩში (0:2) დაშავდა. ორშაბათამდე ის მარბელიაში ისვენებდა და შეეძლო, კიდევ რამდენიმე დღით დარჩენილიყო, მაგრამ სეზონის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი და ლია ვარჯიში არ გააცდინა.

*"მიხარია, რომ ისევ მიუნხენში ვარ. ამ კვირაში ექიმთან მაქვს შეხვედრა. იმედი მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდები, მაგრამ არა მგონია, ეს სექტემბრამდე მოხდეს,"* - განუცხადა რიბერიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

■ ■ ■

ერთი სიტყვით, 10 000-მა ქომაგმა ნახა ყველაფერი ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე - ახალი ფორმები, მომღიმარი სახეები, საჩვენებელი ვარჯიში, მოისმინეს დაპირებები და ა.შ. მაგრამ ფანებმა ვერ იხილეს ყველაზე სენსაციური მომენტი. წამი, როდესაც **ოლივერ კანმა იურგენ კლინსმანს** ყველაფერი აპატია!

სად და როგორ? კანს "ბაიერნის" კოლეგები გასახდელებში დაატარებდნენ (ტელეკომპანია ZDF ოლიზე ფილმს იღებს) და ერთ მომენტში მოედანზე გაიყვანეს. ცხადია, მას ფეხბურთელები მაშინვე მიესალმენ და კანიც სულ რალაც ერთ წამში ყურადღების ეპიცენტრში მოექცა. კლინსმანმა ოლის ხელი ჩამოართვა - მეგობრული სალამი მეგობრული ღიმილით, თითქოს ორი წლის წინ არაფერი მომხდარა. 2006 წლის 7 აპრილს გერმანიაში კლინსმანს კანის მკვლელი უწოდეს, რადგან მან გადაწყვიტა, რომ მუნდიალზე გერმანიის ნაკრების ძირითადი გოლკიპერი არა ოლი, არამედ მისი კონკურენტი **იენს ლემანი** იქნებოდა.

როგორც ჩანს, დაპირისპირება უკვე წარსულია. კანი: *"ადამიანმა არ უნდა დაუშვას ყველაზე საშინელი შეცდომა, ის არ უნდა იყოს მუდმივად წარსულის პატიმარი. ცხოვრება გრძელდება. იურგენს და მე ძალიან ნორმალური, პროფესიული ურთიერთობა გვაქვს."* კლინსმანი: *"კანთან პირადი უკმაყოფილება და პრობლემები არასდროს მქონია."*

კლინსიმ "ტიტანი" გუშინ, "ბაიერნის" ბაზაზე დაპატიჟა და ოლი ამ წინადადებაზე უდიდესი სიამოვნებით დათანხმდა. მალე კანი ვარჯიშსაც დაიწყებს. როგორც იცით, 2 სექტემბერს მისი გამოსათხოვარი მატჩია, "ბაიერნი"-გერმანია. კანს უნდა, რომ ამ თამაშისთვის საუკეთესო ფორმაში იყოს.

რაც შეეხება "ბაიერნის" საამსეზონო პერსპექტივებს. კანი დარწმუნებულია, რომ რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ იასპარეზებს, ვიდრე გასულ სეზონში უეფას თასზე...

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვორონინი დორტმუნდში?

როგორც ირკვევა, "ლივერპულში" ერთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მერსესაიდული კლუბის უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე ფიქრობს. ამ ცნობას ინგლისური გამოცემები ავრცელებენ. ვორონინმა "ლივერპულის" ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** მას მუდმივად სათადარიგოთა სკამს ახეხინებდა, სასტარტოში კი **ფერნანდო ტორესსა** და **დირკ კუიტს** ათამაშებდა. შანსი იმისა, რომ მომავალ სეზონში ვორონინი უფრო ხშირად ითამაშებს, ძალიან მცირეა, რადგან მაშინაც კი, როცა ათამაშებდნენ, 29 წლის უკრაინელი ფორვარდი თავის შესაძლებლობებს ვერ ამტკიცებდა. სამშაბათს, "ჰერტასთან" ტესტ-მატჩში (0:0) ვორონინმა თერთმეტმეტრიანიც ვერ გაიტანა.

გერმანული გამოცემა "შპორტ-ბილდი" იტყობინება, რომ დიდი შანსია, ვორონინი დორტმუნდის "ბორუსიაში" გადავიდეს. ანდრეი და "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობენ - კლოპი ვორონინს 2000-დან 2003 წლამდე "მაინცში" წვრთნიდა. უკრაინელის გადაბირება სწორედ იურგენს მოუნადინებია.



## ლევერკუზენი: ენრიკე არენდით

"ბარსელონამ" თავისი მორიგი ახალწვეული, ბრაზილიელი მცველი **ენრიკე ადრიანო** ერთი წლით "ლევერკუზენში" გაანათხოვრა. "ბაიერის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** 21 წლის ფეხბურთელს უდიდეს ტალანტს უწოდებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ "ბარსამ" ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადა, ენრიკე "პალმეირასიდან" შეიძინა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ენრიკეს ბრაზილიის ნაკრებში დებიუტი 6 ივნისს ჰქონდა და სწორედ ამის შემდეგ შეიძინა იგი კატალონიურმა გიგანტმა. "ბაიერში" კი იმის გამო გაანათხოვრეს, რომ "ბარსას" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ ჰქონდა, არადა, ახალგაზრდაა და სათამაშო პრაქტიკა ესაჭიროება. ენრიკე "ლევერკუზენის" მეორე ბრაზილიელი ახალწვეულია. მანამდე "ფარმაცევტებმა" პლეიმეიქერი **რენატო** შეიძინეს.

## მერტეზაკერი: ექვსი კვირა ლაზარეთში

"ვერდერის" დაცვის ბურჯმა **პერ მერტეზაკერმა** ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და როგორც ექიმები ამბობენ, ლაზარეთში მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 6 კვირას დაჰყოფს. ეს უკვე მესამე ფეხბურთელია, რომელიც "ვერდერს" მოსამზადებელი ეტაპის დროს დაუშავდათ. მერტეზაკერამდე ლაზარეთში პორტუგალიელი თავდამსხმელი **უგო ალმეიდა** და **მარკუს როზენბერგი** აღმოჩდნენ.

პირველ შეხვედრებში მერტეს, სავარაუდოდ, ავსტრიელი მცველი **სებასტიან პრიოდლი** შეცვლის, რომელმაც ბრემენულ კლუბს ცოტა ხნის წინათ მიაშურა. პერი კი ჩემპიონთა ლიგის სტარტისთვის გამოჯანმრთელდება.

## შალკეს ვარელა და შტრაიტი დაუშავდა

ბაჰრეინის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც "შალკემ" 4:1 მოიგო, გელზენკირხენულ კლუბს ორი ფეხბურთელი დაუშავდა - ნახევარმცველებმა **ალბერტ შტრაიტმა** და **გუსტავო ვარელამ** ტრავმები მიიღეს. შტრაიტი დაახლოებით ორ კვირას დაისვენებს. ურუგვაელი კი, ლაზარეთში ერთ კვირას გაატარებს.

## მეირა გალათასარაიში წავიდა

"შტუტგარტის" ყოფილმა კაპიტანმა, პორტუგალიის ნაკრების მცველმა **ფერნანდო მეირამ**, როგორც მოსალოდნელი იყო, "გალათასარაის" მიაშურა. გუნდები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და "გალათასარაის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ტრანსფერი გაჩარხულად გამოაცხადა. სატრანსფერო თანხა არ გახმაურებულა.

## კომპანის ოლიმპიადაზე უშვებენ

იმდროს, როცა სხვა გერმანული კლუბები ძალიან ჭირვეულობენ და საშველად სასამართლოებს მიმართავენ, "ჰამბურგი" ბელგიელ მცველ **ვენსან კომპანის** პეკინში უპრობლემოდ უშვებს. კლუბი და ფეხბურთელი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ვენსანი ბუნდესლიგის სტარტისთვის აუცილებლად გერმანიაში უნდა იყოს. გამოდის, რომ ფეხბურთელი პეკინში ოლიმპიადის დასრულებამდე ვერ დარჩება.

*"ჩვენ წავედით კომპრომისზე, რადგან ფეხბურთელმაც იგივე გააკეთა. ბელგიის საფეხბურთო კავშირსაც შევუთანხმდით და მივიღეთ გარანტია იმისა, რომ კომპანი ბუნდესლიგის პირველი ტურისთვის აუცილებლად გერმანიაში იქნება,"* - განაცხადა HSV-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანმა**.

ბუნდესლიგა

# ყურადღება, ჰოფენჰაიმი ძალიან საშიშია!

როდესაც ბუნდესლიგაში ახლახან ალზევებული "ჰოფენჰაიმისა" და პრემიერლიგული "ბლექბერნ როვერსის" ტესტ-მატჩის პირველი ტაიმი დამთავრდა, გერმანელმა ფანებმა სიმღერა წარმოიწყეს, ინგლისელებს შანსი არ აქვთო. პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა და ალბათ, ბევრმა იფიქრა, რომ ალემანები ცოტათი მაინც აჭარბებდნენ. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და დაიწყო "ბლექბერნის" რბევა - საბოლოოდ, **რალფ რანგნიკის** გუნდმა 3:1 მოიგო.



გერმანიაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ძალიან ნათლად ჩანს, რომ "ჰოფენჰაიმს" სერიოზული სენსაციების მოხდენა შეუძლია. მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, დიდი შანსია, რომ ეს გუნდი ყველა დროის ყველაზე სენსაციურ დებიუტანტებს შორის გაერიოს და მათ შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდესო. მეორეზე იმიტომ, რომ ალბათ შეუძლებელია, რომელიმე კლუბმა "კაიზერსლაუტერნის" 1998 წლის მიღწევა გაიმეოროს, როცა **ოტო რეჰაგელმა** დებიუტანტი გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახადა. ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება.

"ჰოფენჰაიმმა" "ბლექბერნთან" შემტევი, ძალიან სახიფათო და ლამაზი ფეხბურთი აჩვენა - იდეალური კომბინაციებით. ეს რანგნიკის, "პროფესორი რალფის" სტილია. როდესაც ჰოფენჰაიმელები ბურთს კარგავდნენ, გუნდი ძალიან სწრაფად ერთვებოდა დაცვისკენ და ბურთს უსწრაფესად იბრუნებდა.

მიუხედავად ამისა, რანგნიკი კიდევ გეგმავს ტრანსფერებს. მას კიდევ ერთი თავდამსხმელი სურს, რადგან უნდა, რომ ახალ სეზონში სამი ფორვარდით ითამაშოს, რაც თავისთავად ძალიან ავანტიურისტული ტაქტიკაა, მაგრამ მთლიანად გუნდია ასეთი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# იარიგინის მეუღლეც კი ააცრემლა


ახალგაზრდული ნაკრები

უკვე გაუწყეთ, რომ სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში გამართულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობაზე საქართველოს წარგზავნილებმა ოქროს ოთხი, ამდენივე ბრინჯაოს და ვერცხლის ერთი მედალი დაიმსახურეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა (მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი**, მწვრთნელი **ჯონი ლორია**) საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე-მესამეზე, შესაბამისად, თურქები და რუსები გავიდნენ; ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს (მთავარი მწვრთნელი **ლადო ადეიშვილი**, მწვრთნელი **ვილიამ ხარაზოვი**) მხოლოდ მესამე ადგილი ხვდათ, რუსებისა და აზერბაიჯანელების შემდეგ.

გუშინ, კოშიცედან დაბრუნებულ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ფალავანთა კლუბში შეხვედრა მოუწყვეს, რომელსაც მასმედიის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ** მედალოსნებსა და მათ მწვრთნელებს წარმატება მიულოცა. მანვე დამსწრეთ შეახსენა საქართველოსთვის უპრეცედენტო შემთხვევა - ოლიმპიელებთან შეხვედრისას ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულ ქართველ ათლეტებს მილიონს დაჰპირდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სპორტისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. საგულისხმოა ისიც, რომ წლის ბოლოს არა მარტო დიდი ჩემპიონები და პრიზიორები, არამედ მსოფლიო და ევროპის პირველობების მედალოსნებიც დაჯილდოვდებიან, რაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და, კერძოდ, მისი თავმჯდომარის **დავით ნამგალაურის** დამსახურებაა. გუშინ, ბატონი დავითიც მიესალმა ევროპის პირველობიდან დაბრუნებულთ და კიდევ ერთხელ აღუთქვა, რომ შედეგების მიხედვით გარჯა ყველას დაუფასდება.

წლეულს, 29 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით სტამბოლში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა გაიმართება. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენმა ბიჭებმა სლოვაკეთში და სათურქეთოდ გუნდში რა ცვლილებებია მოსალოდნელი, ამის თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებენ ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები.

**ნუგზარ სხირელი:** უპირველესად, მადლობის სიტყვებით მინდა დავიწყო და იგი უკრაინაში საქართველოს კონსულს თემურ ნიშნიანიძეს ეკუთვნის, რომლის დახმარებითაც დაუგვიანებლად გავემგზავრეთ სლოვაკეთში.

მადლობელი ვართ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებისა, რომლებმაც თანხმობა მოგვცეს, ჩვენთვის განკუთვნილი სახსრები საკუთარი შეხედულებისამებრ გადაგვენაწილებინა. აქედან გამომდინარე, გავზარდეთ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის გამოყოფილი თანხა, რამაც საშუალება მოგვცა, ჩვენი შეგირდების მომზადების დონე საქმეში გვენახა. ამგვარად შერჩეულმა ნაკრებმა გაამართლა. ორივე სახეობაში, როგორც ხედავთ, შესანიშნავ შედეგებს მივაღწიეთ. მე, ცხადია, "თავისუფლების" გამოსვლაზე გიამბობთ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (50 კგ.) წარმატება. მამამისი - გიორგიც ჩემს ხელში გაიზარდა. ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ორჯერ გახდა ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. ნიჭიერი ფალავანი რვა წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა. მაშინ ვლადიმერი ცხრა წლისა იყო. ერთი წლის შემდეგ მანაც ჩემთან დაიწყო ვარჯიში და მამის ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობს. შარშან ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, წლეულს კი კონტინენტის პირველობაზე 54 კილოში აჯობა თანატოლებს. იგი კოშიცეში მოასპარეზეებზე 2-3 წლით უმცროსი გახლდათ, მაგრამ ექიმების ნებართვით ჩავრთეთ შეჯიბრებაში. ვოვამაც გვასახელა - ზედიზედ სძლია მეტოქეებს, მათ შორის - ფინალში რუსეთელ ივას ბეგბულატოვს მოუგო და დამსახურებულად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. იმედია, იგი სტამბოლშიც ისახელებს თავს.

გიორგი მაყაშვილს (60 კგ.) საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი ჰქონდა შარშანწინ გვატემალაში მსოფლიო პირველობაზე, სადაც II ადგლი დაიკავა. მართალია, შარშან პეკინში ხელი მოეცარა, მაგრამ წლეულს ნაკრებში კვლავ ვანდეთ ადგილი და მანაც გაგვიმართლა. უკრაინელ ლიუბომირ შუმაკთან და გერმანელ სამედ დუენგერთან შეხვედრათა უარყოფითი ბალანსის მიუხედავად, კოშიცეში ისინი უშანსოდ დატოვა. ფინალში მასპინძელი რობერტ ოლე დაამარცხა, რაც არც ისე იოლი იყო, თუ საკუთარი კედლების ფაქტორს გავითვალისწინებთ.

ასპარეზობის პირველ დღეს თურქებმა ზედიზედ ორ წონით კატეგორიაში (55 და 66 კგ.) იზეიმეს გამარჯვება. ყველას ეგონა, რომ დარბაზში მესამედაც აღიმართებოდა მათი დროშა, მით უმეტეს, ქართველმა ფალავანმა თორნიკე სვანიძემ (84) ნახევარფინალში ჭიდაობისას ნეკნი იტკინა, თუმცა კონკურენტს მაინც სძლია. ორთაბრძოლის დაწყებიდან 20 წამიც არ იყო გასული, თორნიკემ "კლასიკურის" ფანდით თურქი იბრაჰიმ ბოლუკბაში ისე ელვისებურად გააკრა ხალიჩას ბეჭებით, რომ აღფრთოვანებული გულშემატკივრები ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

- თავიანთი აღტაცება თვით ფილას ბიუროს წარმომადგენლებმაც ვერ დამალეს, - ჩაერია ჩვენს საუბარში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თამაზ გეგეშიძე, რომელიც გუნდს ახლდა სლოვაკეთში. - ისინიც ფეხზე ამდგარნი მიესალმნენ ჩვენს ფალავანს. მათ შორის გახლდათ ცნობილი ფალავნის ივან იარიგინის მეუღლე, ნატალია. იგი სიხარულის ცრემლს ვერ მალავდა. თორნიკე ოქროს მედლით სწორედ მან დააჯილდოვა.

- ცრემლი ვერც ჩვენ შევიკავეთ, როცა დ[illegible]აზში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა, - განაგრძო საუბარი ბატონმა ნუგზარმა. - თვით თურქებმაც მოგვილოცეს გამარჯვება, თუმცა, თვალებში ეტყობოდათ ფარული მუქარა - სტამბოლში ჩამოხვალთ და დანარჩენი იქ ვნახოთო. ჩვენი სამხრეთელი მეზობლების განზრახვა მოგვიწევს - მართალია, სვანიძემ შარშან მსოფლიო და ევროპის პირველობებზე "ბრინჯაო" დაიმსახურა, ახლა კი "ოქროთი" დაიმშვენა მკერდი, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე მას ვერ წავიყვანთ. უკვე გითხარით, რომ ნახევარფინალში თორნიკემ ნეკნი დაიზიანა და გარისკვის უფლება არ გვაქვს. მეორეც, წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებში თავი გამოიჩინა ბექა ჭელიძემ და მისი დაჩაგვრაც არ გვინდა, მით უმეტეს, რომ გაისად ახალგაზრდების ევროპის პირველობას თბილისი უმასპინძლებს და ამ შეჯიბრებისთვის აქედანვე ვზრუნავთ ძლიერი ნაკრების შესაქმნელად. ასაკიდან გამომდინარე, მომავლის გუნდში სწორედ ჭელიძე მოიაზრება და გვსურს, მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირზე წლეულსვე გამოვცადოთ. იმედია, სვანიძის ქომაგები და მწვრთნელები ამ ცვლილებას გაგებით მოეკიდებიან. იძულებული ვართ, 55 კილოში ედიშერაშვილის ნაცვლად სტამბოლში დავით ბერძენიშვილი წავიყვანოთ. შარშან ამ უკანასკნელმა, რომელიც 5 კილოთი ნაკლები იყო, მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

ამდენად, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში თურქეთს გაემგზავრებიან: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (50), დავით ბერძენიშვილი (55), გიორგი მაყაშვილი (60), ზაურ აბრამიშვილი (66), გიორგი მარსაგიშვილი (74), ბექა ჭელიძე (84), გიორგი ჩიქოვანი (96), ლევან ბერიანიძე (120).

ვლადიმერ ადეიშვილი: ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შარშანდელ ევროპის პირველობაზე მხოლოდ თითო "ვერცხლი" და "ბრინჯაო" მოვიპოვეთ, წლეულს კი შედეგები საგრძნობლად გავაუმჯობესეთ. სხვადასხვა სინჯის სამი მედალი ურიგო როდია, თუმცა უფრო მეტი პოტენციური შესაძლებლობები გვქონდა, მაგრამ ყველა სპორტსმენმა ვერ შეძლო შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა. ისიც აღსანიშნავია, რომ გუნდი მთლიანად დებიუტანტებით იყო დაკომპლექტებული.

ძალიან გაგვახარა უჩა შავაძემ (60), რომელმაც შეხვედრები დიდი უპირატესობით მოიგო და ჩემპიონი გახდა. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა რამინ შაქარაშვილი (120). შარშანდელი ოპერაციის შემდეგ დაიბრუნა ნაკრებში ადგილი არსენ კახაბრიშვილმა (74), რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. გაისად იგი 84 კილოში გამოვა. ვფიქრობ, რომ მისი სახით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კარგი ცვლა ეზრდება.

სამივე სპორტსმენს სტამბოლშიც მიეცემა თავის გამოჩენის შანსი. მათთან ერთად დაიცავენ ქვეყნის სპორტულ ღირსებას ქემალ ხარაბაძე (55, იგი ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მეორე იყო. ახალგაზრდების ტურნირზე ექიმის ნებართვით დაუშვეს და ორ მეტოქესაც აჯობა) და ვასილ იმერლიშვილი (96). 50 კილოში მინდია წულუკიძის ნაცვლად ზურაბ მაჭარაშვილი იჭიდავებს, რომელიც სლოვაკეთს ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა. 66 კილოში ლაშა ლოლაშვილს რამინ ვაშაყმაძე შეცვლის. 84 კილოში საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ გიორგი ჭუმბაშვილსა და დავით ცინცაძეს შორის. გამარჯვებული გიორგი ლვინიაშვილს ჩაენაცვლება.

ორივე სახეობის მოჭიდავეები უკვე საწვრთნელ შეკრებაზე არიან. ევროპის პირველობაზე გამოვლენილ ხარვეზთა გამოსწორებაზე ვიმუშავებთ. მართალია, სტამბოლში, ტრადიციულად, მედლების მოპოვება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ წილისყრამ თუ გაგვიმართლა, არც იქ შევირცხვენთ თავს.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

---

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველომ პეკინისთვის მზადება დაიწყო

შვეიცარიის ქალაქ გშტაადში მსოფლიო ტურის წლევანდელი გათამაშების მორიგი ეტაპი დაიწყო, რომელიც "დიდი სლემის" ეგიდით გაიმართება. ანუ წყვილები ჯგუფებში განაწილდებიან და მინიმუმ სამ შეხვედრას აუცილებლად გამართავენ. გშტაადისა და მომდევნო, კლაგენფურტის ეტაპები ქართული წყვილებისთვის **საქა-რთველო** და **გეორ-გია** პეკინის ოლიმპიადისთვის მზადების კონტექსტში განიხილება.

ქალთა შორის შეჯიბრებაში ქართული წყვილი საქა-რთველო მე-16 ნომრით A ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ჩინელები **ტიან ჯია** და **ჭანკი**, მე-17 ნომერი ფრანგები **ჟიაუ** და **ამზოუ** და ავსტრიელები **პიჩლერი** და **იასპერი** იქნებიან, რომლებიც 32-ე ნომრად განთესეს.

პირველი შეხვედრა საქა-რთველომ ფრანგულ წყვილთან გამართა და ორ სეტში დამარცხდა 18:21, 16:21. ავსტრიელებთან კი ოდნავაც არ გასჭირვებით გამარჯვების მიღწევა. ჩვენმა ფრენბურთელებმა მეტოქეს ასევე ორ სეტში მოუგეს 21:15 და 21:13. რითაც, ფაქტობრივად, შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდეს.

დღეს საქა-რთველო ჯგუფის ლიდერს, ჩინურ დუეტს ტიან ჯია-ჭანკი დაუპირისპირდება. დღესვე ჩაერთვება შეჯიბრებაში ჯგუფური ეტაპიდან ვაჟთა შორის ქართული წყვილი გეორ-გია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

---

# ტაეკვონდოს ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს


გიორგი კორახაშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში 22 ივლისს ტაეკვონდოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა, სადაც ძირითადი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო. არჩევნებზე 19 დელეგატიდან 15 გამოცხადდა, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ახალი კანდიდატის - **გიორგი კორახაშვილის** გაპრეზიდენტებას.

ამიერიდან, ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტი 4 წლის ვადით გიორგი კორახაშვილი იქნება, რომელმაც ამ პოსტზე **ავთანდილ მიქაძე** შეცვალა. აღსანიშნავია, რომ კორახაშვილი "ელ ჯის" ოფიციალური დისტრიბუტორის საქართველოში, კომპანია "ალგორითმის" პრეზიდენტია. საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციასთან თანამშრომლობის იდეა იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ კორახაშვილს კორეულ კომპანია - "ელ ჯის" ოფიციალურ წარმომადგენლებთან პირადი კონტაქტები აქვს, ხოლო ტაეკვონდო კორეული სპორტის სახეობაა.

კორეელებთან მჭიდრო კავშირი კი საქართველოში სპორტის ამ სახეობის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ტაეკვონდოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც იმყოფებოდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის - **დავით ნამგალაურის** თქმით - საქართველოში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალ - 2012 წლის ოლიმპიადაზე ლონდონში საქართველოსაც ჰყავდეს წარმომადგენელი ტაეკვონდოში. ახალი პრეზიდენტი - გიორგი კორახაშვილი სპორტსმენებსა და ფედერაციის წარმომადგენლებს შიდა მდგომარეობის გამოსწორებასა და სამომავლოდ წინსვლისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას დაჰპირდა.

**გიორგი ჭანიშვილი**

---

სუმო. ივლისის ბაშო

# ცუდი დღე

გუშინ, ნაგოიას ბაშოზე ორივე ქართველმა სუმოისტმა წააგო. მე-10 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)** ელიტის დებიუტანტ **მასაცუკასასთან** დამარცხდა, ხოლო მე-14 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ყოფილ კომუსუბისთან, **ტაკეკაძესთან** წააგო. ტოჩინოშინს კვლავ დადებითი ბალანსი რჩება (6-5), თუმცა მასაც მთელი მობილიზებით მართებს დოჰიოზე გასვლა. აი, კოკაის საქმე კი ცუდადაა, ლევანმა დარჩენილი ოთხივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს, რათა რეიტინგში მორიგი დაქვეითება თავიდან აიცილოს.

დღეს კოკაის მეტოქე მე-6 მაეგაშირა **ტოკიტენკუა**, დამარცხების შემთხვევაში კოკაისთვის ამ ბაშოზე ყველაფერი დასრულდება, მონღოლი კი ქართველის ხარჯზე დადებით ბალანსს დაიბევებს. ტოჩინოშინი ყოფილ ჩემპიონ **დეჯიმას** ხვდება. ქართველს შურისძიების უნიკალური შანსი ეძლევა – წინა, ტოჩინოშინისთვის სადებიუტო ბაშოს ბოლო დღეს დეჯიმამ დაამარცხა ჩვენებური და ბალანსი 7-8 გაუხადა. ახლა კი, თუკი ქართველი მოიგებს, დეჯიმას მე-8 მარცხს აგემებს და რეიტინგშიც დააქვეითებს.

ბაშოზე მომავალი ჩემპიონის ბედი თითქმის გაირკვა – რამ უნდა შეუშალოს ხელი მონღოლ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს**, რომ იმპერატორის თასი მეშვიდედ ვერ მოიპოვოს? ალბათ, მხოლოდ ტრავმამ. ჰაკუჰო დაუმარცხებელია და 11 მოგებით ლიდერობს, მას კვალში ოთხი რიკიში მისდევს, მაგრამ სამ-სამი წაგებით. დღეს, ტურის ბოლო ორთაბრძოლაში ჩემპიონი **ჩიოტაიკაი** შეეცდება ჰაკუჰოს შეჩერებას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

# ოლიმპიური მონეტის პრეზენტაცია

დღეს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მოეწყობა სამახსოვრო მონეტის პრეზენტაცია, რომელიც პეკინის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება. პრეზენტაციას დაესწრებიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ამაღლობელი**, სეოკ-ისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები, ვეტერანი სპორტსმენები. ოლიმპიური მონეტის პრეზენტაცია სეოკ-ის შენობაში 11 საათზე გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.**

**სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.**

**სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.**

კალათბურთი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# მთავარია, ჯანმრთელად ვიყოთ


დავით უსტიაშვილი

**საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები იტალიის ოთხთა ტურნირიდან დაბრუნდა და მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისს "დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე განაგრძობს.**

**გუშინ, ნაკრების თავკაც დავით უსტიაშვილს შევეხმიანეთ, რომელიც იტალიური ტურნირის პერიპეტიებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრა.**

- იტალიიის ტურნირზე გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა. პირველ შეხვედრაში, მასპინძლებს ორი პერიოდი თანაბრად ვეპაექრეთ. მეორე მატჩში, ბერძნებს სამი მეოთხედი ტოლსწორად ვებრძოლეთ, მაგრამ დასკვნით ათწუთეულში ბევრი შეცდომა დავუშვით და ისევ წავაგეთ. ბოლოს კი სლოვენიას დაძაბულ შეხვედრაში, მაგრამ დამაჯერებლად ვძლიეთ კარგი ზონური დაცვის წყალობით.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ დიმიტრი ფაცაციასა და რიჩარდ მათიაშვილს. ფაცაციას ვირუსი შეეყარა, მაღალი სიცხეები ჰქონდა და ვერაფრით დაგვეხმარა, მათიაშვილს კი მეორე შეხვედრაში ნატკენი ფეხი გაუმიზეზდა და ისიც გამოგვაკლდა.

მთლიანობაში, მაინც ვერ ვიტყვი, რომ გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ჩვენი მეტოქეები იტალიისა და საბერძნეთის ჩემპიონატებში, უმაღლეს დონეზე თამაშობენ და მათთან თანაბრად ჭიდილი ადვილი ნამდვილად არ იყო.

**- იტალიას ევროპის ჩემპიონატზეც შეხვდებით ქვეჯგუფში. რამდენად რთული იქნება მისი დამარცხება?**

- შეუძლებელი არაფერია. ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ექვსი სავარჯიშო დღე გვაქვს და შევეცდებით, რომ ამ დროში ხარვეზები მაქსიმალურად აღმოვფხვრათ. ახლა ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ტრავმებმა კიდევ არ დაგვალალატოს. დიდი არჩევანი არ გვაქვს და თითოეული კალათბურთელის დაშავება თუ გამოკლება თავისებური პრობლემაა.

**- ხარვეზებიახსენეთ და ძირითადად, რა პრობლემები აქვს გუნდს?**

- საერთოდ, ნებისმიერ გუნდს შეიძლება ჰქონდეს ხარვეზი - თვით გრანდებსაც კი. ჩვენი ძირითადი ნაკლი გამოუცდელობაა. ამ ასაკში, წლეულს, მეორედ გამოვდივართ ევროპის ჩემპიონატზე და ზოგ კალათბურთელს ესოდენ მაღალი რანგის ტურნირზე დებიუტი ექნება. კონტინენტის პირველობაზე სუსტი გუნდი არ არსებობს და თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალური მობილიზაცია გვმართებს. კარგი იქნება, თუკი ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, ყველა კალათბურთელი ჯანმრთელად იქნება.

**- ტრავმების გამო შემადგენლობაში ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მოხდეს, მაგრამ არაფერია გამორიცხული. ვიმედოვნებ, ამ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება და ევროპის ჩემპიონატზე უძლიერეს შემადგენლობას წავიყვანთ.

**- ფიზიკურად როგორ კონდენციებშია გუნდი?**

- ჩვენი მიზანია, რომ 1 აგვისტოსთვის, ანუ ევროპის ჩემპიონატის პირველი დღისთვის იყვნენ კალათბურთელები ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში. ისე, იტალიის ტურნირზე გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი ჩაატარა და ბოლო შეხვედრა მოიგო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ კუთხით, ყველაფერი წესრიგშია. ერთადერთი, პატარ-პატარა ტრავმიანობა და ამის გამო კალათბურთელების ორ-სამდღიანი ფორმიდან ამოვარდნა გვიქმნის პრობლემებს.

**- იტალიის ტურნირზე შერმადინს საუკეთესო პირადი სტატისტიკა ჰქონდა და ტურნირის ვიპ-კალათბურთელადაც დაასახელეს. მის გარდა კიდევ ვის გამოარჩევდით ჩვენი გუნდიდან?**

- შერმადინი მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჩვენი გუნდისთვის და დიდი სამუშაო შეასრულა. თუმცა, არც სხვებს დაუზოგავთ თავი. მთელმა გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო.

**- ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელიც ბრძანდებით. 25 ივლისის ნაცვლად, 31 ივლისს რატომ იწყება შეკრება?**

- საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ასე გადაწყვიტა და ჯობია, ამ კითხვით ფედერაციის ხელმძღვანელობას მიმართოთ. 31 აგვისტოს, საქართველოში მოთამაშე კალათბურთელები დაიწყებენ შეკრებას, 5 ივლისისთვის კი ლეგიონერები ჩამოვლენ.

**- დასასრულ, თქვენს კლუბ "ენერჯი ინვესტზეც" გკითხავთ. ევროთასებისთვის გაძლიერებას აპირებთ და ხომ არ დაგიმატებიათ ახალი კალათბურთელები?**

- ჯერჯერობით, ჩამოყალიბების პროცესში ვართ. გაძლიერების საკითხზე აქტიურად მუშაობას ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შევუდგებით.

**კობა ხატისაშვილი**

# ღია ვარჯიში ევროპის ჩემპიონატის წინ

თბილისის ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ბოლო ღია ვარჯიში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე მიიღებს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატში (დივიზიონი B), რომელიც უნგრულ დებრეცენში გაიმართება.

ჩვენი ეროვნულ გუნდი, რომელსაც სათავეში მთავარი მწვრთნელი **მიხეილ კობეშავიძე** და ასისტენტი **ამროსი ორმოცაძე** უდგანან, ევროპის ჩემპიონატზე შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრება:

**ნიკა მეტრეველი (211 სმ)**
**ტარიელ თავართქილაძე (193 სმ)**
**დავით მაისურაძე (204 სმ)**
**ტატო ჩაჩიბაია (200 სმ)**
**ბექა ჩიკვილაძე (195 სმ)**
**ალეკო ძიძიგური (193 სმ)**
**გიორგი ჯგერენაია (206 სმ)**
**აკაკი ლომოური (192 სმ)**
**კონსტანტინე ტომარაძე (197 სმ)**
**გიორგი ნანიტაშვილი (186 სმ)**
**გიორგი შარაბიძე (208 სმ)**
**თორნიკე შენგელია (198 სმ)**

**ჯგუფური ეტაპის კალენდარი**

**25.07:** დანია – სლოვაკეთი, უნგრეთი – ფინეთი.

**26.07:** **საქართველო** – უნგრეთი, ფინეთი – დანია.

**27.07:** სლოვაკეთი – ფინეთი, **დანია – საქართველო.**

**28.07:** უნგრეთი – დანია, **საქართველო – სლოვაკეთი.**

**29.07:** **საქართველო – ფინეთი,** სლოვაკეთი – უნგრეთი.

მიხეილ კობეშავიძე: *"გუნდი მაქსიმალურად მოემზადა ამ მეტად საპასუხისმგებლო ტურნირისთვის, სადაც თითოეულმა მოთამაშემ მაქსიმუმი უნდა გაიღოს და ქართული კალათბურთი ასახელოს. გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული და იმედი მაქვს, რომ თავის მაქსიმუმს აჩვენებს. ჩვენი მიზანი ერთი დივიზიონით მაღლა ანაცვლებაა და ყველანაირად ვეცდებით, მინიმუმ, ფინალში გავიდეთ. გუნდს ნამდვილად აქვს იმისი პოტენციალი, რომ ჩემპიონატის გამარჯვებული გახდეს.*

*გვყავს სერიოზული კონკურენტები. ჩვენს ქვეჯგუფში მოხვდნენ მასპინძლები, უნგრელი კალათბურთელები, ვის წინაალმდეგაც გამოსვლა საკმაოდ რთული იქნება. რთული მატჩები გველის სხვებთანაც, კერძოდ, ფინელებთან, რომლებსაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში ძლიერი გუნდი ჰყავთ. ასე რომ, ვაცნობიერებთ ტურნირის სირთულეს, მაგრამ ჩვენი თავის გვეიმედება და ვეცდებით, დასახული მიზანი შევასრულოთ."*

**ნიკა მეტრეველი:** *"რთული მატჩები გველის, თუმცა ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგ კონდიციებშია და ვეცდებით, საუკეთესო კალათბურთის დემონსტრირება მოვახდინოთ. საკუთარი ძალების ნამდვილად გვჯერა."*

გეტყვით იმასაც, რომ ნაკრების წევრებმა კაპიტნად **ალეკო ძიძიგური** აირჩიეს, რომელიც ბოლო სეზონში "ვიტას" ღირსებას იცავდა.

ჭადრაკი

# 13 ვისთვის იქნება თარსი?

ესპანეთში, ქალაქ ბალაგუერში რიგით მეცამეტე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი იმართება, რომელშიც ოთხი ქართველიც მონაწილეობს. ესპანეთის ერთ-ერთ ტურნირზე ამას წინათ მოგახსენეთ; მასში **ანა მათნაძე, სოფიკო გურამიშვილი, ქეთი წანალაშვილი** და **მარიამ დანელია** ცდიდნენ ძალებს. ამ ოთხეულმა საკმაოდ წარმატებით იასპარეზა ქალაქ ბარბერაში და ბალაგუერშიც გადაწყვიტეს თამაში. თუმცა ანა მათნაძემ თავი შეიკავა. მიუხედავად ამისა, ქართველთა რიცხოვნობა არ შეცვლილა - დიდოსტატი **ლევან არომშიძე** დაემატათ.

ტურნირმა საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი: სულ 107 მონაწილე შეიკრიბა, აქედან 12 დიდოსტატია, რომელთაგან ოთხს 2600 და მეტი რეიტინგი აქვს. პირველი ნომერი უკრაინელი **ვლადიმერ ბაკლანია** (2630); 2. **ვლადიმერ ბურმაკინი** (რუს. 2625); 3. **ალექსანდრ დელჩევი** (ბულ. 2618); 4. **იგორ კურნოსოვი** (რუს. 2617). აქვე არიან კუბელი დიდოსტატები, რომლებმაც ბარბერაში პირველი სამი ადგილი გაინაწილეს. ამათგან ერთი კვლავაც ლიდერობს - **ფიდელ ხიმენეს კორალესს** 7.5 ქულა აქვს და ერთპიროვნულად უდგას ცხრილს სათავეში. **ლაზარო ბრუსონს** კი 6.5 ქულა აქვს და მდევართა მოზრდილ ჯგუფშია. სულ 10 ტურია დათქმული. სათამაშო დრო კი ფიდესეულია - 90 წუთი მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

ქართველთა შედეგიანობას რაც შეეხება, თავმოსაწონი ნამდვილად გვაქვს. პირველ რიგში, არომშიძის თამაშია გამოსარჩევი, რომელსაც 6.5 ქულა აქვს და კარგი შანსიც - სამეულში შევიდეს. ამისთვის, ცხადია, ბოლო ტურში გამარჯვებაა საჭირო, მაგრამ შავებით უწევს თამაში ინდოელ **ვინაი ბჰატრანთან.**

სოფიკო გურამიშვილს 5.5 ქულა აქვს. დღეს კი შავებით ხვდება აზერბაიჯანელ საერთაშორისო ოსტატ **ლოგმან გულიევს** (2436). 5 ქულა აქვს ქეთი წანალაშვილს, რომლის მეტოქე ესპანელი **რამინ კაბაროა.** აქაც ქართველია შავებით, მაგრამ ესპანელი ქეთის რეიტინგით ჩამორჩება და ეგებ ამ ფაქტორმა კარგად იმუშაოს ჩვენებურისთვის. მარიამ დანელიას 4.5 ქულა აქვს. მისი მეტოქე დომინიკანელი **პედრო ბელტრეა** (1954). კვლავ შავებია ქართველის არჩივი, მაგრამ ის გვიკეთებს გულს, რომ მეტოქე არასაჭადრაკო ქვეყნიდან არის და საკმაოდ დაბალი რეიტინგის მფლობელია.

ვნახოთ, ბოლო ნაბიჯი როგორი გამოუვათ ქართველ მოჭადრაკეებს.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# არის მეორე! წინ პირველია...

როგორც გუშინ ვივარაუდეთ, **ლაზარე კუხალაშვილმა** "კოკა-კოლას" თასის გათამაშების მერვედფინალურ ეტაპზე გაიმარჯვა, რაც საკმაოდ დიდი წარმატებაა 17 წლის ყმაწვილისთვის. ლაზარემ ორ თბილისურ ტურნირში მეორე ეტაპის დაძლევა ზედიზედ მეორედ მოახერხა და დღეს რომც წააგოს, იმდენ ქულას შეიმატებს აქტივში, რომ არაა გამორიცხული, ათასეულშიც კი შევიდეს. დღეისთვის ლაზარე მსოფლიო კლასიფიკაციაში 1274-ეა.

უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, ერთი შეხედვით იოლად იმარჯვა ქართველმა ჩოგბურთელმა, თუმცა ანგარიში მატჩის დაძაბულობას სრულად არ ასახავს. სომეხი ჩოგბურთელი **ჰარუთინ სოფიანი** საკმაოდ ძლიერი სპორტსმენია და რამდენიმე წლის წინათ მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. იგი დღემდე ითვლება სომხეთის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად, ახალგაზრდობაში კი ტოლსწორად ეპაექრებოდა მსოფლიოში დღეისთვის ცნობილ ოსტატებს - **დავიდ ნალბანდიანს, გილერმო კორეას** და ა.შ. სამწუხაროდ, ჰარუთინის ცხოვრებაში უსიამოვნო ფაქტი მოხდა - ხელყუმბარა აუფეთქდა და სიკვდილს კი გადარჩა, მაგრამ ჯანმრთელობა სერიოზულად დაიზიანა. წლების განმავლობაში რეაბილიტაციას გადიოდა, ხოლო ბოლო დროს კორტზე დაბრუნება და საჩოგბურთო კარიერის ხელახლა დაწყება ისურვა. ლაზარესთან შეხვედრაში გარკვეულწილად მოძრაობაში შეზღუდული იყო, რასაც ქართველი კარგად იყენებდა, მაგრამ რამდენიმე კომპონენტში ოსტატობა აშკარად გამოსჭვივოდა... ასე იყო თუ ისე, კუხალაშვილმა იძალა, ორ სეტში 6:4, 6:1 გაიმარჯვა და დღეს ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება მოუწევს ამ ტურნირზე - ტურნირის პირველ ნომერს, იტალიელ **მატეო მარაის** შეხვდება. მატეო რომ ამ ტურნირის უდავო ფავორიტია, გასულმა შეჯიბრებამაც დაამტკიცა - თბილისის საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ ფინალში იწვნია სეტის წაგების სიმწარე, თუმცა გამარჯვებული მაინც თავად გამოვიდა. იტალიელის კლასი აშკარად აღემატება სხვებს, მაგრამ რეალურ კონკურენციას ისევ და ისევ გასული ტურნირის ფინალური მატჩის მეტოქე **დავიდ სავიჩი** თუ გაუწევს. ცხადია, ლაზარეს გამარჯვება გვსურს ყველას, მაგრამ რთული სათქმელია, რომ დღეს ქართველმა იტალიელი დაამარცხოს; მედგრად რომ დაუდგება, ამის კი ათასგზის გვჯერა... იტალიელის რეიტინგი დღეისთვის 340-ე ადგილისთვის არის საკმარისი. ეს ისეთი პოზიციაა, რომლის შემდეგაც უძლიერესთა შორის მოსახვედრად დიდი გზა აღარ რჩება...

ლაზარეს თამაში ცენტრალურ კორტზე პირველი იყო, შემდეგი **ნოდარ ითონიშვილისა** და უკრაინელი **დ. მოლჩანოვის** შეხვედრა უნდა ყოფილიყო. შედგა კიდეც შეხვედრა, მაგრამ ხუთიოდ წუთში დასრულდა, - ითონიშვილმა 0:2-ზე თამაში შეწყვიტა და გაგრძელებაზე უარი თქვა. მიზეზს მკითხველი ალბათ, მიხვდებოდა - ნოდარს წელის ტკივილი გასულ კვირაში სტანჯავდა და ამ მიზეზით მერვედფიალური მატჩი დათმო, თუმცა ბოლომდე ჩაასრულა. ამჯერად კი ტკივილი იმდენად გაუსაძლისი იყო, რომ ადრევე გაცლა ამჯობინა. მკურნალობა სასწრაფოდაა დასაწყები და ნოდარმა, ხვალიდანვე ვიწყებ პროცედურებსო...

სამწუხაროდ, წააგო **ბექა ბუჩუკურმაც.** მისი მომრევი ფრანგი **შარლ როშე** აღმოჩნდა - 6:0, 6:0.

ლაზარემ წყვილთა შორისაც ითამაშა, თუმცა ისეთივე წარმატებული ვერ გამოდგა - მეოთხე ნომრად განთესილ რუს-უზბეკურ წყვილთან - **ვიქტორ კოზნისა** და **ვაჯა უზაკოვის** შემადგენლობით - ორ სეტში დამარცხდა - 6:7 (4); 2:6. შეგახსენებთ, ლაზარეს მეწყვილე **ნიკოლოზ ქურდაძე** იყო.

ლიდერებზეც ვთქვათ მცირედი. მატეო მარაი რომ კუხალაშვილის მეტოქეა, გითხარით, - მან გუშინ უკრაინელი **ვადიმ ალიქსეენკო** 6:3, 6:3 დაამარცხა. სერბმა დავიდ სავიჩმა კი სომეხი **ჰოვანეს დავთიანი** დაიბრიყვა - 6:2, 6:1. წინ მიიწევს ლატვიელი **დენისს პავლოვსი,** რომელიც ამჯერად მესამეა განთესვით. მან მერვედფინალში უზბეკი ვაჯა უზაკოვი დაამარცხა - 7:5, 6:2.

დღეს შეხვედრები ერთი საათით გვიან, 11 საათზე დაიწყება. პირველად ცენტრალურ კორტზე ბელარუსი **სიარჰეი ბეტაუ** და ლატვიელი დენისს პავლოვსი გავლენ. ამის შემდეგ შეეჭიდებიან ერთმანეთს მატეო მარაი და ლაზარე კუხალაშვილი. ამათ თამაში დაახლოებით ორი საათისთვის მოუწევთ, ამ დროს კი თბილისში ისე ცხელა, სულის მოთქმა ჭირს. ცხადია, ჩოგბურთის თამაშიც არ იქნება იოლი, მაგრამ ეგებ ამინდმა ქართველის სასარგებლოდ იმუშაოს და...

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


გიორგი შხვაცაბაია. ლელო. 1963 წელი

# ლელოს შვილები

სპეციალური გამოშვება. №1 2008 წელი


რაგბის მოთამაშეები. 1843 წელი. ინგლისი

# სიმართლეს ხელს ვაწერთ...



სპორტის რომელი სათამაშო სახეობაა დღეს ყველაზე მეტად წარმატებული საქართველოში? პასუხისთვის სულაც არ არის საჭირო ოფიციალური გამოკითხვის ჩატარება. დაეკითხეთ სპორტის ნებისმიერ ქომაგს და პასუხს უმალვე მიიღებთ - რა თქმა უნდა, რაგბი! ასე ვფიქრობთ ჩვენც. იმედია, თქვენც გვეთანხმებით. ის, რომ ქართული რაგბი მსოფლიო ელიტაში შევიდა, იმ სპეციალისტების თავდადებული გარჯის შედეგია, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობენ.

გაზეთი "ლელო" ქართული სპორტის მემატიანედაა აღიარებული და მის ფურცლებზე ნაბიჯ-ნაბიჯაა ასახული ქართული რაგბის "გზა მაღალი საზოგადოებისკენ". ახლა ჩვენ მეტი გვინდა გავაკეთოთ. დიდი სურვილია, უფრო აქტიურად დავუდგეთ მხარში ქართულ რაგბს. "ლელო" ვალდებულიცაა ლელოს მემკვიდრეებს მხარში დაუდგეს. ლელობურთიდან რაგბამდე ქართულმა გენმა მოგვიყვანა და მანვე გაგვიყვანა საერთაშორისო სარბიელზე ისე, როგორც ქართულმა ჭიდაობის მადლმა გვიწინამძღვრა ჭიდაობის სახეობებში.

ქართველებს ჩვენივე გენით გაჯერებული, ეროვნულ საუნჯედ ქცეული სპორტის სამი ხალხური სახეობა გვაქვს - ქართული ჭიდაობა, ლელობურთი და ცხენოსნობა. არამც და არამც, არ შეიძლება მათი დავიწყება, რადგან სამივე ზოგადად ქართული სპორტის თავანკარა წყაროდაა მიჩნეული, გზაა მასობრიობიდან დიდი სპორტისკენ!

ამიერიდან "ლელო" მეტ დროსა და ადგილს დაუთმობს რაგბის. დროდადრო შემოგთავაზებთ გაზეთის სპეციალურ გვერდებს. ვიწყებთ დღეიდან. ვიწყებთ ყველას თანადგომის სურვილით. იმედია, არ მოგვაკლდება ყურადღება. ერთად დავწეროთ ქართული რაგბის სრული ისტორია, ერთად მივცეთ ახალი ბიძგი მის შემდგომ წინსვლას.

რით დავიწყოთ?

საგულდაგულოდ გადავათვალიერეთ "ლელოს" უმდიდრესი არქივი. ვერ წარმოიდგენთ როგორ გაგვიხარდა, როცა თვალში მოგვხვდა, როგორც თავად დარწმუნდებით, ერთი უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი. სასიამოვნოა, როცა ისტორია უტყუარადაა განმტკიცებული. როცა ძირშივე გამოირიცხება ყოველგვარი ეჭვი, ფაქტი სანდო ხდება. ჰოდა, თვითმხილველებზე, მეტიც, უშუალოდ მოვლენის მონაწილეებზე უკეთ ვინ იცის, თუ რა მოხდა და როგორ მოხდა ქართული რაგბის აღმოცენებასთან დაკავშირებით, რომელიც განვლილმა დრომ ისტორიად აქცია. აი, ასეთ დოკუმენტს წავაწყდით, ანუ ხელთ გვაქვს უტყუარი საბუთი საქართველოში რაგბის დაბადებასთან დაკავშირებით. ამავე დოკუმენტში გარკვევით წერია, თუ ვინ იყო ქართველ მორაგბეთა პირველი მწვრთნელი და პირველი კაპიტანი.

ეს ძვირფასი საბუთი მთავრდება სიტყვებით: "სიმართლეს ხელს ვაწერთ"...

...1959 წელია. იპოდრომზე ვმუშაობ, სტუდენტიც ვარ. იმ ზაფხულის ერთ ნაშუადღევს, უცნაური ბურთით ხელში ახალგაზრდები შემოვიდნენ იპოდრომზე, მოემზადნენ და ვარჯიში დაიწყეს. ჯერ ლელობურთი გვეგონა. მერე თავად აგვიხსნეს, რომ ეს რაგბია და ლელოს ძალიან ჰგავს. გეპეელები ვართ, აგერ, ის კაცი საფრანგეთიდან ჩამოსული მწვრთნელიაო, - გვითხრეს ცნობისმოყვარე ბიჭებს. მათი ვარჯიშის დროს ხშირად გვესმოდა სახელები **რეზო, ნოდარი, ტარიელი, დათო, ზაური, გოგი...** მეორე დღეს ხეზე გაკრული განცხადებაც ვნახეთ იპოდრომის სასადილოსთან - რაგბში სავარჯიშოდ იწვევდნენ მსურველებს. ასეთი განცხადებები ქალაქის სხვა უბნებშიც გაუკრავთ.

გადამდგარი გენერალი, სპორტის ხალხური სახეობების დიდი ქომაგი **კაპიტონ ნაჭყებია** იყო მაშინ იპოდრომის დირექტორი. ცხენთსარბიელიც მისი პირადი ძალისხმევით აიგო დელისში. ვერ გეტყვით, იყო თუ არა დირექტორთან მორაგბეთა მეცადინეობა შეთანხმებული. ფაქტია, რომ გენერალს, რომელიც ამხელა ტერიტორიას საკუთარი კარმიდამოსავით უვლიდა, ერთხელაც არ დასცდენია - უცხო ხალხს ნუ შემოუშვებთ, მინდორს გაგვითელავენო.

პირველი გუნდიც ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა იპოდრომზე. მწვრთნელი იყო **ჟაკ ასპეკიანი** - საფრანგეთიდან ჩამოსული ის კაცი, ზემოთ რომ ვახსენეთ.

გავიდა წლები. უკვე "ლელოს" კორესპონდენტი ვიყავი და ხშირად დავდიოდი რესპუბლიკის სპორტკომიტეტში. 1967 წლის ივნისში, ქართული სპორტის შტაბბინაში, ყველას პირზე ეკერა თბილისში ფრანგი მორაგბეების სტუმრობა. თავკაცს, **გიორგი სიხარულიძეს**, გამბედაობას ვერავინ დაუწუნებდა, მაგრამ ზომიერად ფრთხილიც იყო. და აი, გადაწყდა, ჩვენები ამხანაგურ მატჩს ფრანგებთან არა თბილისში, არამედ კახეთში ითამაშებდნენ. მოკლედ, სირცხვილი, რაც ფრანგების ძლიერ გუნდთან დამარცხებით შეიძლება გვეწვნია, დედაქალაქიდან პერიფერიაში გაიტანეს.

დღესაც დაობენ, როდის ჩაატარა საქართველოს გუნდმა პირველი საერთაშორისო მატჩი. ჩვენ კამათში არ ვერთვებით. უბრალოდ, ყველას შევახსენებთ, გახსოვდეთ 1967 წლის ივნისი...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## დრო და რაგბი

"დღეს უფრო ძალისმიერი რაგბია, ჩვენს დროს იმპროვიზაციას ექცეოდა მეტი ყურადღება, რატომღაც არ ჩანს გარე ნახევარმცველის (№10) მკაფიო თამაში. მთავარია, ბურთზე თამაში. ბურთი კი ხშირად არ ჩანს, "ჩაკეტილია" და განტვირთვაა საჭირო. ამიტომ 10-ზა ნომერმა ხშირად უნდა "დაკიდოს" ბურთი წინ, ფეხით."

**ნოდარ ყიფიანი,**
*ვეტერანი მორაგბე და მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლელობურთსა და რაგბიში.*

# ვეტერანი მორაგბეები ადასტურებენ

1959 წელს სპი-ს ბაზაზე შეიქმნა პირველი ქართული სარაგბო გუნდი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომლის პირველი მწვრთნელიც ბატონი **ჟაკ ასპეკიანი** იყო. შეგირდები მწვრთნელს მოფერებით "ჟაკოს" ეძახდნენ. მან იმავე წელსვე 31-ე საავიაციო ქარხნის ბაზაზეც ჩამოაყალიბა მეორე სარაგბო გუნდი "ისანი". ორთავე გუნდს მორიგეობით წვრთნიდა ერთადერთი მოყვითალო ფერის რაგბის ბურთით, რომელიც საფრანგეთიდან ჰქონდა ჩამოტანილი. სწორედ ეს ბურთი გაგორდა პირველად ჩვენი დედაქალაქის მწვანე მინდვრებზე. ამავე წლის შემოდგომაზე სტუდენტები შეიკრიბნენ თბილისის "იპოდრომზე" და პირველი წვრთნაც შედგა. გუნდის კაპიტნად, ერთხმად **ნოდარ ყიფიანი** აირჩიეს.

1960 წელს (როგორც ვეტერანები დღესაც კარგად იხსენებენ) ბ-ნ ჟაკის შექმნილ ორ გუნდს შორის (სპი,"ისანი") თამაშები ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა... გუნდი საასპარეზოდ მინდორზე, კაპიტან ნ. ყიფიანს გამოჰყავდა (ბ-ნი ჟაკი თავად მსაჯობდა, გვერდით მსაჯებად კი სათადარიგო მოთამაშეები ეხმარებოდნენ).

1960 წელს, როცა პირველი საჩვენებელი თამაში ჩატარდა "ლოკომოტივის"ცენტრალურ სტადიონზე. ეს იყო წარმოუდგენელი და დაუჯერებელი ამბავი, მაშინ მორაგბეებს ფეხბურთის სტადიონებზე არ უშვებდნენ სავარჯიშოდ, საფარს უფრთხილდებოდნენ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში.

1961 წელს ჟაკის შექმნილ სამ გუნდს შორის (სპი, "ისანი"და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი) ქ. თბილისის პირველ სამთა ტურნირში, ჩემპიონი სპი გახდა. სამივე გუნდს ჟაკი წვრთნიდა.

1962 წელს ქ. თბილისის რიგით მეორე პირველობა უკვე ოთხ გუნდს შორის ჩატარდა, ამჟამად მონაწილეებს თსუ-ის გუნდი დაემატა.




მოგონება

# რაგბი და ლელო

ცნობილი ხელოვანი, მხატვარი **ვახტანგ ფეტვიაშვილი** ხელბურთიდან გადავიდა რაგბიში. 13 წელიწადი "ლოკომოტივის"უცვლელი კაპიტანი იყო. ორჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. დავძენთ, რომ ბატონი ვახტანგი, ბოლო წლებში, უკვე ხუთი შვილის მამა იყო, როცა რაგბის თამაშობდა. უფროსი ქალიშვილი **რუსუდან ფეტვიაშვილი** ასევე ცნობილი მხატვარია.

ბატონი ვახტანგი იგონებს:

"1966 წელს ჩოხატაურში ლელოს პირველობაზე წავედით მორაგბეები საკუთარი სურვილით. ლელობურთი ხომ ასე ახლოსაა რაგბისთან. მაშინ პირველად მოვსინჯეთ ძალა ჩვენს მამაპაპისეულ თამაშში.

ჩვენ ჩვენებურად დავიწყეთ თამაში, გურულები კი მალიმალ ყვიროდნენ, ფეხებიდან ნუ გვიჭერთო. ფაქტობრივად, ლელოელებს თბილისის ნაკრები ვეთამაშეთ.

საინტერესო იყო ის, რომ ჩოხატაურის გუნდში მამისტოლა კაცები თამაშობდნენ. ერთი იყო - იპოლიტეს ეძახდნენ, თამაშობდა და შვილიშვილები გულშემატკივრობდნენ.

ორჯერ ვითამაშეთ ლელოს პირველობაზე, ერთხელ ისეთი წვიმა მოვიდა, ყველანი ერთი ფერის მაისურებში ვიყავით გამოწყობილი - ტალახის ფერში. ერთმა ჩვენიანმა თავისი გუნდის წევრს თხლიშა სახეში. ვერ გაარჩია ვის ურტყამდა.

ოზურგეთი, ფოთი, ჩოხატაური, ბათუმი, თელავი და თბილისი მონაწილეობდნენ ლელოს პირველობაში. თელაველები კახური ღვინით ჩამოვიდნენ და წვიმიან ამინდში თამაშით არ შეუწუხებიათ თავი.

ერთხელ ლელოში საქართველოს ჩემპიონატი საქართველოს სპორტის ოსტატებიც კი გავხდით, რამაც ჩვენი დიდი სიხარული გამოიწვია."

**გაბრიელ ბარჯაძის**
**წიგნიდან „ლელოს შვილები"**



ქართული რაგბის მესაფუძვლენი: გივი მრელაშვილი (მარცხნივ) და ჟაკ ასპეკიანი

კალათბურთი. ინტერვიუ კრის კამანთან

# ამ შანსს ვერ დავკარგავდი

ევროპული ნაკრებებისთვის წესად იქცა შემადგენლობის გასაძლიერებლად ამერიკელი კალათბურთელების დამატება. ამ მხრივ, ყველაზე კარგად გერმანიის ნაკრებმა იმუშავა. მათ საიდანლაც გაარკვიეს, რომ "ლოს ანჯელეს კლიპერსის" 26 წლის ცენტრს, კრის კამანს ბაბუა და ბებია გერმანელი ჰყავდა. ამიტომაც, NBA-ის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრს ნაკრებში თამაში შესთავაზეს. მიჩიგანელი მოულოდნელად დათანხმდა ამ წინადადებას, რითაც გერმანია ავტომატურად გახდა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი. ახლა კი, პეკინის თამაშებზე ეს გუნდი ნებისმიერისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. როცა შემადგენლობაში დირკ ნოვიცკი (23.6 ქულა და 8.6 მოხსნა შარშანდელ რეგულარულში) გყავს, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია, ხოლო, როცა კამანიც (15.7 ქულა და 12.7 მოხსნა) ემატება... უბრალოდ, გერმანელთა ახალწვეულს პარტნიორებთან შეთამაშება აკლია, მაგრამ ოლიმპიადამდე დარჩენილ დღეებში, ალბათ, ეს საკითხიც მოგვარდება.



- რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ, - კამანი ვერ მალავდა თავის გრძნობებს ოლიმპიადის საგზურის მოპოვების შემდეგ. - ჩემი პარტნიორები ამ მიზნამდე დიდი ხანი მიდიოდნენ - ზოგიერთებს ამისთვის 10 წელი დასჭირდათ. მე კი, გუნდში ორი კვირაა ვირიცხები. მიუხედავად ამისა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ მცირე დროში მოვასწარი გერმანიის ნაკრების მნიშვნელოვანი ნაწილი გავმხდარიყავი. ჩემგან მოედანზე რაიმე განსაკუთრებულს არ ითხოვენ - მხოლოდ ჩემი კალათბურთი უნდა ვითამაშო. ქულები დავაგროვო, ფარზე ვიბრძოლო, მაქსიმალურად აქტიურად დავიცვა თავი... არაფერი ახალი. და კარგია, რომ მოვახერხე გუნდის წარმატებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

**- ე. ი. უკვე მოასწარით ცოტათი მაინც გამხდარიყავით "გერმანელი". გერმანული ენა იცით?**

- არა. მაგრამ მწვრთნელიც და კალათბურთელებიც მშვენივრად ლაპარაკობენ ინგლისურად. უფრო მეტიც, თამაშის გარჩევაც ამ ენაზე მიდის. მთავარია, კალათბურთის ენა გესმოდეს. თუ კარგი მოთამაშე ხარ და იმისკენ ისწრაფი, რომ გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანო, არანაირი პრობლემა არ შეგექმნება. მართლაც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ იმ გუნდის რიგებში ვიმყოფები, რომელმაც სულ ახლახანს, ოლიმპიადის საგზური მოიგო.

**- მზად ხართ პეკინში დრიმ თიმის წინააღმდეგ სათამაშოდ?**

- პირადად მე არანაირი პრობლემა არ მექნება. სპორტი - ეს მხოლოდ თამაშია და არა პოლიტიკა. ოლიმპიადაზე თამაშის უნიკალური შანსი მომეცა და სისულელე იქნებოდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება.

**- პეკინში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- რთული შეკითხვაა. დამიჯერეთ, ჩვენ იმითაც უზომოდ კმაყოფილები ვართ, რომ ოლიმპიადაზე მოვხვდით და ჯერ გვინდა ამ მომენტით დავტკბეთ. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პეკინში ტურისტებად წავალთ.

**- ოლიმპიადაზე კიდევ უფრო რთული იქნება, ვიდრე ეს საკვალიფიკაციო ტურნირზე იყო. ამერიკის ნაკრებში მეხუთე "ნომრად" დუაიტ ჰოვარდი ითამაშებს, ჩინეთში - იაო მინი, ესპანეთში - პაუ გასოლი...**

- თქვენს მიერ ჩამოთვლილი ბიჭების წინააღმდეგ NBA-ში ხშირად მითამაშია. ხანდახან ამ დუელებში გამარჯვებული მე გამოვსულვარ, ხან - ჩემი ოპონენტები. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი ის არ არის, რომ კამანმა ჩაკეტოს თავისი ოპონენტი, არამედ გერმანიის ნაკრებმა გაიმარჯვოს.

**- ხედავთ თუ არა პრინციპულ განსხვავებას NBA-ისა და FIBA-ს მსაჯების მიერ საკალათბურთო წესების აღქმაში?**

- განსაკუთრებული სხვაობა არ შემიჩნევია. მეტოქისთვის ხელში ჩარტყმა ოკეანის არც ერთ მხარეს არ არის რეკომენდებული. ჩემი სათამაშო სტილი აქტიურია - ბევრს ვმოძრაობ დაცვაშიც და თავდასხმაშიც. ბუნებრივია, ხანდახან ჩემი მოძრაობის ტრაექტორია მეტოქის ტრაექტორიას კვეთს. ამიტომაც, ჩნდება ხოლმე პრობლემები ზედმეტი პერსონალურების გამო.

**- ის კალათბურთი, რომელსაც კლუბში თამაშობთ, დიდად განსხვავდება ევროპული სტილისგან?**

- დიახ. როგორც გითხარით, აქაც საკუთარი მანერით მოქმედებას ვცდილობ - მაგრამ ამასთან, ცხადია, რომ ევროპაში კალათბურთი უფრო ნელი და აკადემიურია. პრინციპში, ეს მაწყობს - ყოველთვის შეიძლება ბურთის პოზიციურ შეტევაში მიღება. NBA-ში ყველაფერი გაცილებით სწრაფად ხდება: ხანდახან მეტოქის ფართან ჩასული არ ხარ, რომ უკან შეტრიალება და დაცვაში ჩარბენა გიწევს. თუმცა ახლა, NBA-ის კლუბებსა და სხვა გუნდებს შორის სხვაობა იმდენად შესამჩნევი აღარ არის, როგორც ეს ადრე იყო. ყოველ წელს, ამერიკაში სულ უფრო მეტი კალათბურთელი ჩამოდის პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან.

**- თქვენ NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი ხართ. სხვა ევროპულ ნაკრებებში ნომერ პირველი ვარსკვლავი იქნებოდით. მაგრამ გერმანიის ნაკრებში ეს ვერ მოხდება, რადგან ბოლო რამდენიმე წელია, გუნდის ლიდერის სტატუსი დირკ ნოვიცკის აქვს ოკუპირებული...**

- გინდათ გაიგოთ, დირკზე ხომ არ ვეჭვიანობ? რა თქმა უნდა, არა. ის, რასაც ნოვიცკი თავისი ქვეყნისთვის აკეთებს, უბრალოდ, განსაცვიფრებელია. დირკი ჩვენი ნაკრების ღერძი, მთავარი დამრტყმელი ძალაა. ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა მოედანზე ასეთი დიადი კალათბურთელის გვერდით ყოფნა. ეჭვგარეშეა, რომ დალასელი პლანეტის 10 საუკეთესო მოთამაშეს შორის შედის.

**გია თვალაბეიშვილი**

NBA. სატრანსფერო ბაზარი

# ჯერ სიჩუმეა

გუშინდელ ნომერში ევროპული სატრანსფერო ბაზრის სიახლეები გაგაცანით. ახლა კი ვნახოთ, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს უახლოეს პერიოდში ოკეანის გაღმა, პლანეტის ყველაზე ძლიერ ლიგაში.

ცნობილია, რომ "საკრამენტო კინგზში" არ სურს თამაში ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **რონ არტესტს**. გამოცემა Sacramento Bee გვაუწყებს, რომ ფორვარდით ოთხი კლუბი - "დალასი", "კლივლენდი", "დეტროიტი" და "ფინიქსი" არიან დაინტერესებული.

"დალასის" ინტერესი, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ "კოვბოების" ახალ მთავარ მწვრთნელს, **რიკ კარლაილს** დაცვის გაძლიერება და **ჯერი სტეკჰაუსის** მოშორება სურს. თუმცა ამ ვარიანტს თავად "კინგზი" არ განიხილავს. ჟურნალისტები თვლიან, რომ ყველაზე საინტერესო იქნებოდა არტესტის "დეტროიტში" გადასვლა, იმ გუნდში, რომლის ფანატებთან რონმა 2004 წელს გრანდიოზული ჩხუბი მოაწყო. სანაცვლოდ, "საკრამენტო" **ტაიშონ პრინსსა** და **ჯეისონ მაქსიელს** მიიღებს. თუმცა "პისტონზის" გენერალური მენეჯერი **ჯო დუმარსი** ასეთ ვარიანტს, ალბათ, არ დათანხმდება.

არტესტისთვის კიდევ ერთი ვარიანტი "ფინიქსია". ამ უკანასკნელს შეუძლია "მეფეებს" მცველი **ლეანდრო ბარბოზა** შესთავაზოს, თავისი ოთხწლიანი და 27-მილიონიანი კონტრაქტით.

■ ■ ■

ცოტა ხნის წინათ, "ნიუ ჯერსიმ" "ორლანდოდან" მცველი **კენიონ დულინგი** დაიმატა და ახლა, გუნდს 16 ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომლებსაც "ნეტსთან" კონტრაქტი აკავშირებს, რეგლამენტის მიხედვით კი, ასეთი 15 კალათბურთელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ "ნიუ ჯერსიში" დათვლილია მცველ **მარკუს უილიამსის** დღეები.

მარკუსისთვის ლიგაში გატარებული ორი სეზონი, ძირითადად ტრავმებით აღინიშნა. უილიამსმა ვერ აჩვენა ისეთი თამაში, რასაც 2006 წლის დრაფტის 22-ე ნომრისგან ელოდნენ. კალათბურთელის საშუალო სტატისტიკა 6.4 ქულასა და 3.0 პასს უდრის.

სავარაუდოდ, "ნეტსი" ტრეიდში რომელიმე ახალგაზრდა კალათბურთელს ჩართავს - **ჯოშ ბუნს** ან **შონ უილიამსს**. "ნიუ ჯერსის" მიზანი რომელიმე ვეტერანი ფორვარდია. გუნდს ძალიან სჭირდება გამოცდილი კალათბურთელი, რადგან მის შემადგენლობაში რვა ისეთი მოთამაშეა, რომლებსაც ლიგაში მხოლოდ ორი ან ნაკლები სეზონი აქვთ გატარებული.

■ ■ ■

"ფინიქს სანზის" გენერალური მენეჯერი **სტივ კერი** წლევანდელი დრაფტის მეორე რაუნდში არჩეული სლოვენიელი მცველის, **გორან დრაგიჩის** გაფორმებას აპირებს და ამავდროულად, როტაციის გაძლიერებისთვის გამოცდილ გამთამაშებელსა და ცენტრს ეძებს.

ამ მხრივ, "ფინიქსის" თვალთახედვის არეში მოხვდნენ **სემ კასელი**, **დემონ სტაუდმაიერი** და **ჯეისონ უილიამსი**. "მაღლებიდან" კი, განიხილება **შონ მარქსისა** და **ბრაიან სკინერის** ვარიანტები.

■ ■ ■

სკინერით კიდევ ერთი გუნდია დაინტერესებული. Miami Herald-ის ინფორმაციით, "მაიამი ჰიტი" თავისუფალი აგენტების ბაზარზე დაბალხელფასიან მძიმე ფორვარდს ეძებს. ამ მხრივ, ბრაიან სკინერი ზედგამოჭრილი ვარიანტი იქნება. ამ კალათბურთელს NBA-ში 10 სეზონი აქვს გატარებული და ერთხელ "ფინიქსის" რიგებშიც ირიცხებოდა. გარდა ამისა, ფორვარდს "კლიპერსში", "კლივლენდში", "ფილადელფიაში", "მილუოკიში", "საკრამენტოში" და "პორტლენდში" უთამაშია. მისი კარიერული მონაგარი 4.9 ქულასა და ამდენივე მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

დაბოლოს, ერთი შენაძენის შესახებ, რომელიც "დეტროიტ პისტონზმა" გააკეთა. ბოლონიის "ვირტუსის" ამერიკელმა მცველმა **უილ ბინუმმა** NBA-ის საზაფხულო ლიგაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და იმდენად მოაწონა თავი "დეტროიტს", რომ ამ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გამოკრა ხელი.

შარშან, ბინუმი ისრაელის "მაკაბიში" თამაშობდა და მისი დიდი წვლილია იმაში, რომ ამ გუნდმა ევროლიგის ფინალში გააღწია. ამ ზაფხულს, ამერიკელმა "ვირტუსთან" გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი, კალათბურთელის NBA-ში უპრობლემოდ გაშვებას ითვალისწინებდა. სწორედ ეს პუნქტი გამოიყენა 25 წლის ბინუმმა, რომელსაც იტალიურ კლუბში ერთი მატჩის ჩატარებაც არ მოუნია.

**გია თვალაბეიშვილი**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# სუპერ სასტრე



სასტრე პირველად გახდა ფრანგული ველომარათონის ლიდერი

ესპანელი **კარლოს სასტრეს** გამარჯვებით დასრულდა ტურ დე ფრანსის მე-17, ურთულესი სამთო ეტაპი, რომელზეც ველომრბოლებმა სამი უმაღლესი კატეგორიის (უფრო სწორად, უკატეგორიო) სამთო მონაკვეთი გაიარეს. ამ გამარჯვებით, სასტრემ (კარიერაში პირველად) ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო, რომელიც ლუქსემბურგელ თანაგუნდელ **ფრანკ შლეკს** ჩამოართვა.

სასტრემ ბრწყინვალე სოლორეიდი ბოლო ალმართის, ლეგენდარული ალპ დ'უეზის დასაწყისში, ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე წამოიწყო და უახლოესი მდევრები ორ წუთზე მეტით ჩამოიტოვა. ფრანკ შლეკმა და მისმა ძმამ, **ენდი შლეკმა** სასტრეს შეტევა რეაგირების გარეშე დატოვეს. სამაგიეროდ, თუ სხვა ვინმე აჩქარებას გაბედავდა, უმცროსი შლეკი მაშინვე აედევნებოდა და ქანცგაწყვეტილს, ისევ ყვითელი მაისურის ჯგუფში "აბრუნებდა". ამ დროს კი, ფრანკ შლეკს დაღლის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. მოკლედ, გუშინდელ ეტაპზე დანიურ გუნდ CSC-ში ყველამ თავიანთი ვეტერანი თანაგუნდელის სასარგებლოდ იმუშავა.

*"ბოლო ალმართზე ძალიან გამიჭირდა. ძლივსღა ვსუნთქავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მეტი შანსი აღარ მომეცემოდა, ბოლო ძალები მოვიკრიბე და ბოლომდე გავძელი. შედეგად კი დიდი ხნის ოცნება ავისრულე"*, - განაცხადა სასტრემ, ვისაც ფრანგული ტური მონინავე ათეულში ხუთჯერ აქვს დამთავრებული. 33 წლის სასტრე ტურზე მერვედ ასპარეზობს და ყვითელი მაისურა პირველად მოირგო. ამ ველომარათონის ეტაპი კი მეორედ მოიგო. პირველი გამარჯვება მან ასევე სამთო ეტაპზე, 2003 წელს მოიპოვა.

ეს მიმდინარე ტურის ბოლო ძნელი სამთო ეტაპი იყო. დღეს ველოქარავანი სტარტს ალპებში, პატარა ქალაქ ბურჟ დ'ოისანსში აიღებს და პირიზისკენ გაეშურება. დღესვე პელოტონს ორი-სამი, მეტ-ნაკლებად სერიოზული ალმართის გავლა კიდევ მოუწევს, თუმცა მათზე ლიდერის შეცვლა მოსალოდნელი არაა. სამაგიეროდ, გადამწყვეტი იქნება ბოლოსწინა ეტაპი – დროზე ინდივიდუალური რბოლა, რომელზეც ტურის ახალი ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა. და, ძნელი წარმოსადგენია, ამ ეტაპის შემდეგ, სასტრემ ყვითელი მაისურა შეინარჩუნოს. სპეციალისტების უმეტესობა გამარჯვებას ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** უწინასწარმეტყველებს, ვინც მართალია, ლიდერს 1 წუთითა და 34 წამით ჩამორჩება, მაგრამ 53-კილომეტრიან დროზე რბოლაში, ეს თითქმის არაფერია.

დროზე რბოლის კიდევ ერთ სპეციალისტს, ვუელტას ორგზის ჩემპიონს რუსეთიდან, **დენის მენშოვს** გამარჯვების გაცილებით მცირე შანსი აქვს, რადგან ის სასტრეს 2 წუთითა და 39 წამით ჩამორჩება.

შედარებისთვის, მეოთხე ეტაპზე, ასევე დროზე რბოლაში, რომელიც გერმანელმა **შტეფან შუმახერმა** მოიგო, სასტრემ 28-ე ადგილი დაიკავა და გამარჯვებულს 1 წუთითა და 43 წამით ჩამორჩა. ბოლოსწინა ეტაპზე კი ორჯერ მეტი მანძილია გასავლელი. მეოთხე ეტაპი ევანსმა მეოთხე ადგილზე, მენშოვის წინ დაასრულა.

*"როცა ასეთი ძლიერი მეტოქეები გყავს, რომლებიც კუდიდან არ გშორდებიან, მოგება ძალიან ძნელია. თანაც, სასტრე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამთო ველომრბოლია. მოკლედ, ყველაფერი ვილონე, რათა ბევრით არ წამეგო. ახლა მომდევნო ორ ეტაპზე ფეხებს უნდა გავუფრთხილდე და დროზე რბოლაში ვეძიო იღბალი. ვიმედოვნებ, ამისთვის ძალა მეყოფა"*, - განაცხადა ევანსმა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-17 ეტაპი. ემბრუნიდან ალპ დ'უეზამდე (210.5 კმ)

**1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 6:07.58 (34.32 კმ/სთ); 2. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.03; 3. ანდი შლეკი (ლუბსემბურგი, CSC-საქსო ბანკი) იგივე დროში; 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.13; 5. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 2.13; 6. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 2.15; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 2.15; 8. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.15; 9. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 2.15; 10. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 2.15...**

კლასიფიკაცია 17 ეტაპის შემდეგ

**1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 74:39.03; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.24; 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.33; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 1.34; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.39; 6. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 4.41; 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.35; 8. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.52; 9. ტადეი ვალიაეეცი (სლოვენია, AG2R ლა მონდიალი) 8.10; 10. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 8.24...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. სტოკჰოლმის გალა

# პაუელის რევანში




სტოკჰოლმურმა გამარჯვებამ პაუელს საპეკინო განწყობა აუმაღლა

პეკინის ოლიმპიადის წინ, ერთ-ერთი ბოლო მოთელვა გაიარეს მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნებმა, რომლებმაც ამჯერად სტოკჰოლმის პოპულარულ ტურნირზე მიიღეს მონაწილეობა. ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სანახაობა ას მეტრზე სპრინტი იყო, რომელშიც ერთმანეთს მსოფლიოს ორი უსწრაფესი ადამიანი, ორი იამაიკელი – მსოფლიოს რეკორდსმენი **უსაინ ბოლტი** და მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი** დაუპირისპირდა.

პაუელი და ბოლტი მეგობრები არიან. ისინი პეკინში იასპარეზებენ, თუმცა ბოლტს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, მარტო 200 მეტრზე სპრინტში გამოვიდეს, თუ 200 და 100 მეტრზე სპრინტში დუბლისთვის იბრძოლოს. ის ალბათ, სწორედ სტოკჰოლმის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

შვედეთის დედაქალაქში კი მან პაუელს იამაიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე დამარცხებისთვის რევანშის აღების საშუალება მისცა. სწორედაც რომ მისცა, რადგან საშინელი სტარტი აიღო. ამის მიუხედავად, დისტანცია ორი-სამი მეტრით გრძელი რომ ყოფილიყო, ბოლტი აუცილებლად პირველი იქნებოდა. ას მეტრში კი ყველაზე სწრაფად ასაფა ჩაეტია, რომელმაც ამ მანძილის გასარბენად 9.88 წამი იმყოფინა.

აღსანიშნავია, რომ ნერვული ატმოსფერო კიდევ უფრო დაძაბა იმ ფაქტმა, რომ პირველ ცდაზე მსაჯებმა ფალს სტარტი დააფიქსირეს. მოგვიანებით, ბოლტმა აღიარა, სწორედ ამან შემიშალა ხელი დროულ რეაგირებაში, რადგან ჩემი მიზანი ფალს სტარტის არგამეორება იყოო. ასე იყო თუ ისე, სტარტზევე ის თითქმის ორი კორპუსით ჩამორჩა პაუელს და ბოლოში მასთან მხოლოდ 0.01 წამი წააგო.

*"ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. აქ ჩემი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იყო და სულაც არ ვზრუნავდი დროზე. კარგი სტარტი ავიღე. ამას სპრინტში დიდი მნიშვნელობა აქვს. სისწრაფეც სტარტიდან ფინიშამდე შევინარჩუნე. ახლა იმაზე ვფიქრობ, რომ პეკინში ფორმის პიკში შესვლა შევძლო"*, - განაცხადა პაუელმა, ვინც სტოკჰოლმის ოლიმპიურ სტადიონზე ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

შარშან, აქვე მან ასი მეტრი 10.04 წამში გაირბინა, ორი წლის წინათ კი, ტურნირი სტოკჰოლმური სტადიონის რეკორდული დროით (9.86 წამი) მოიგო, რისთვისაც ბრილიანტის ერთკარატიანი ქვა დაიმსახურა.

მეტოქე-მეგობრისგან განსხვავებით, ბოლტი თავისი გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა, თუმცა მსოფლიო რეკორდსმენი იმედოვნებს, რომ სტარტს დახვეწავს და თუ პეკინში გამოვა, იქ გაცილებით უკეთესი შედეგი ექნება.

*"ფალს სტარტმა მთლად მომშალა. განმეორებითი სტარტისთვის კი ყურადღების მოკრება ვერ შევძელი. სწორედ ეს იყო ნაგების მიზეზი"*, - თავი იმართლა ბოლტმა.

უნდა ითქვას, რომ სტოკჰოლმში მსოფლიოს რეკორდის დამყარება რამდენიმე სპორტსმენს შეეძლო, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი ძალებს პეკინისთვის ინახავენ. მიზანთან ყველაზე ახლოს 110 მეტრზე კუბელი თარჯმრბენი **დაირონ რობლესი** და ეთიოპიელი მორბენალი **მესერეტ დეფარი** იყვნენ.

რობლესმა სამიოდ კვირის წინათ დაამყარა მსოფლიო რეკორდი (12.87 წამი), ახლა კი შანსი ჰქონდა, პეკინამდე ეს შედეგი კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა. მაგრამ ბარიერებიანი მანძილი "მხოლოდ" 12.91 წამში გაირბინა. ეს ყველა დროის მეოთხე საუკეთესო და სტოკჰოლმის ოლიმპიური სტადიონის რეკორდული შედეგია, რისთვისაც რობლესი ერთკარატიან ბრილიანტს (მისი ღირებულება 10 000 დოლარია) მიიღებს.

სტოკჰოლმში მოსალოდნელი იყო ჭოკით ხტომაში რუსი **ელენა ისინბაევასა** და ამერიკელი **ჯენიფერ სტუჩინსკის** დუელი, მაგრამ ამ უკანასკნელმა წელის ტკივილი მოიმიზეზა და პეკინამდე რუსთან შეხვედრას თავი აარიდა. არადა, ისინბაევა ძლივს გადაახტა 4.85 მეტრზე გადებულ თამასას (სიგრილე მოიმიზეზა). ეს მის მსოფლიო რეკორდზე (5.03 მეტრი) გაცილებით დაბლაა, მაგრამ სტადიონის რეკორდი მაინც გაუმჯობესდა, რისთვისაც ისი ერთკარატიანი ბრილიანტით დაჯილდოვდა.

ანალოგიური ჯილდო დეფარმაც მიიღო, ვისაც 5000 მეტრზე სირბილში, თავის თანამემამულე **ტირუნეშ დიბაბას** მსოფლიო რეკორდამდე (14:11.15) 1.45 წამი არ ეყო. და მართალია, სტადიონის რეკორდის დამყარებისთვის ბრილიანტი ერგო, ნაფინიშევს მაინც ატირდა. როგორც ჩანს, პეკინში მსოფლიოს რეკორდსმენის რანგში გამოსვლა სურს.

იოლი გამარჯვება, ოღონდ ყოველგვარი რეკორდის გარეშე ამერიკელმა სპრინტერმა **ჯერემი უორინერმა** მოიპოვა. მან სტოკჰოლმში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, თუმცა მის მიერვე შარშან დამყარებულ სტადიონის რეკორდამდე (44.68 წამი) 0.39 წამი დააკლდა.

## ოლსონი პეკინში არ გამოვა

სტოკჰოლმშივე ცნობილი გახდა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ვერ იასპარეზებს სამხტომში ოლიმპიური ჩემპიონი, შვედი **კრისტიან ოლსონი**. მან ბარძაყის ტრავმა მეოთხე ცდაზე მიიღო. ათენში ტრიუმფის შემდეგ, ოლსონს ტრავმები ხშირად აწუხებს (ტერფზე ოთხი ოპერაცია გადაიტანა), რის გამოც, სულ უფრო იშვიათად ჩნდება სარბენ ბილიკზე.

სტოკჰოლმში გამოსვლაც იმის შედეგია, რომ თავს ძალა დაატანა, მაგრამ ტკივილმა ასპარეზობის გაგრძელების საშუალება არ მისცა. ეგ კი არა, შვედურ რადიოსთან საუბრისას ისიც კი თქვა, შეიძლება კარიერაც დავასრულოო.

ორი წლის წინათ, მორიგი ტრავმის შემდეგ, ის წარმატებით დაბრუნდა – შვედეთის გეტებორგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალს დაეუფლა. მაგრამ შემდეგ ბარძაყის ტრავმა მიიღო. შარშან, ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატის წინ, დაბრუნება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა – ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, კვლავ დაშავდა და მორიგი დაბრუნება პეკინისთვის გადადო...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 24 ივლისი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
15:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. საბერძნეთი-რუსეთი.
17:30 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-მარსელი.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
19:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-პორტუგალია.
21:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:05 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. ორლანდო პაირეტსი (სამხრეთი აფრიკა)-კაიზერ ჩიფსი (ინგლისი). სამხრეთ აფრიკა (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
09:55 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
10:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ტორონტო. კანადა.
14:55 ფეხბურთი.
15:25 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
15:50 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
19:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
19:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი.
20:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ტორონტო. კანადა.
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ესპანეთი-რუსეთი.
02:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
04:20 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
04:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-კრუზეირო.
06:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT

10:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
11:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
12:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
14:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
14:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ტური.
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ეტაპის წინ (LIVE).
16:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVIII ტური (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).
22:30 კრივი. ა. აბრაჰამი (გერმანია)-ე. მირანდა (კოლუმბია). აშშ.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
01:00 პოკერი.
02:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVIII ტური.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-რუსეთი. მარსელი. საფრანგეთი.
16:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. მექსიკა (LIVE).
19:45 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კიბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
02:45 ახალი ამბები.

## ჩემპიონთა ლიგა

### I საკვ. ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| პიუნიკი (სომხეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი) | 0:2 (0:1) |
| ლევადია (ესტონეთი)-დროგედა (ირლანდია) | 0:1 (1:2) |
| ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-ტამპერე (ფინეთი) | 1:1 (1:2) |
| მოდრიცა (ბოსნია)-დინამო (ალბანეთი) | 2:1 (2:0) |
| გიოტებორგი (შვედეთი)-მურატა (სან მარინო) | 4:0 (5:0) |
| არტმედია (სლოვაკეთი)-ვალეტა (მალტა) | 1:0 (2:0) |
| დინამო (ხორვატია)-ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) | 1:1 (2:0) |
| დომზალე (სლოვენია)-დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | 2:0 (1:0) |
| ვალური (ისლანდია)-ბატე (ბელარუსი) | 0:1 (0:2) |

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-დინამო (საქართველო)
რეინჯერსი (შოტლანდია)-კაუნასი (ლიტვა)
ბრანი (ნორვეგია)-ვენტსპილსი (ლატვია)
ინტერი (აზერბაიჯანი)-პარტიზანი (სერბეთი)
შერიფი (მოლდოვა)-სპარტა (ჩეხეთი)
ტამპერე (ფინეთი)-არტმედია (სლოვაკეთი)
ანორთოსისი (კვიპროსი)-რაპიდი (ავსტრია)
დომზალე (სლოვენია)-დინამო (ხორვატია)
გიოტებორგი (შვედეთი)-ბაზელი (შვეიცარია)
დროგედა (ირლანდია)-დინამო (უკრაინა)
ანდერლეხტი (ბელგია)-ბატე (ბელარუსი)
ბეითარი (ისრაელი)-ვისლა (პოლონეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)-მტკ (უნგრეთი)
ოლბორგი (დანია)-მოდრიცა (ბოსნია)

*პირველი მატჩები 29-30 ივლისს გაიმართება, საპასუხო - 5-6 აგვისტოს*

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### გერმანიის სუპერთასი

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ბაიერნი | 2:1 |

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, რუკავინა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, დედე, ჰაინალი (60. ფედერიკო), კელი, ბლაშჩიკოვსკი (60. კრუშკა), ბაკლი (46. კრინგე), ვალდესი (71. კლიმოვიჩი), პეტრიჩი (86. სადრიაი)

**ბაიერნი:** რენსინგი, სანიოლი (46. ვან ბუიტენი), ლუსიო, დემიკელისი, ლელი, ბოროვსკი (46. ოტლი), ვან ბომელი, ჰამით ალტინთოფი (71. ექიჩი), შვაინშტაიგერი(46. კროოსი), ტონი (46. პოდოლსკი), კლოზე (46. ნგვენია).

**გოლები:** 1:0 ბლაშჩიკოვსკი (29), 2:0 ჰაინალი (33), 2:1 ექიჩი (73)

მაყურებელი: 40 000

#### ევროპის ჩემპიონატი

##### Under 19

| | |
|---|---|
| იტალია-უნგრეთი | 1:0 |
| გერმანია-ჩეხეთი | 1:1, დ.დ. 1:2 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| პლზენი-პრშიბრამი | 4:2 |
| გუანგჟოუ-ჩელსი | 0:4 |
| ბორუსია (მ)-ჰერენვეენი | 3:1 |
| ბოჰემიანსი-ვიქტორია | 1:0 |
| კაენი-ლე მანი | 1:1 |
| ლორიანი-ჰავრი | 1:1 |
| ვალანსი-სერკლი | 4:1 |
| ვოლფსბურგი-ზალცბურგი A | 2:1 |
| გენტი-გალათასარაი | 0:0 |
| ოსერი-ტურსი | 1:1 |
| ლევერკუზენი-ალენი | 0:1 |
| ბოხუმი-ოფი | 0:0 |
| ბორდო-ტულუზა | 0:0 |
| გრონინგენი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| სიტარდი-სტ. ტრუიდენი | 1:2 |
| მარსელი-მონაკო | 3:1 |
| ნიცა-გრენობლი | 2:1 |
| სპარტა-რენი | 0:2 |
| სტრასბური-ფრაიბურგი | 4:1 |
| ბეერსხოტი-ბრიუგე | 0:3 |
| პარტიზანი-ლიონი | 1:3 |
| რუზელარე-პსჟ | 0:4 |
| ბრონდბიუ-იუვენტუსი | 1:2 |
| არბროა-დანდი იუნ | 0:2 |
| ჩელტენემი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| ოლდჰემი-დერბი | 1:1 |
| სტ. ჯონსტონი-ბარნლი | 1:3 |
| ტელფორდი-ნოტინგემი | 1:4 |
| გიმარაეში-სანდერლენდი | 1:1 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ვეილე-ოდენსე | 1:3 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვიკინგი-რუსენბორგი | 0:1 |

#### ნორვეგიის თასი

| | |
|---|---|
| მიოლდე-ბრანი | 8:0 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ნორჩოპინგი | 3:0 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ტურკუ-ვაასა | 6:1 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ატლანტისი | 2:0 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| სატურნი-შინიკი | 4:0 |
| ზენიტი-ლოკომოტივი | 1:1 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| შტურმი-მატერსბურგი | 3:0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი-გრასჰოპერსი | 1:0 |
| ბელინცონა-ქსამაქსი | 1:2 |
| ციურიხი-ლუცერნი | 1:0 |

### ფრენბურთი

#### მსოფლიო ლიგა

| | |
|---|---|
| ბრაზილია-რუსეთი | 3:0 |
| აშშ-სერბეთი | 0:3 |

### ჩოგბურთი

#### WTA. ლოს ანჯელესი

| | |
|---|---|
| კვიტოვა-საუთი | 4:6, 4:6 |
| შჩინკი-სავჩუკი | 6:4, 2:6, 6:4 |
| შნიდერი-**სუგიამა** | 4:6, 5:7 |
| **სტოსური**-კულიკოვა | 7:6, 7:5 |
| **აზარენკა**-ჩანი | 6:1, 6:3 |
| **პეტროვა**-ამანმურადოვა | 6:1, 3:6, 6:1 |
| **საფინა**-პენგი | 6:2, 6:2 |

#### WTA. პორტოროჟი

| | |
|---|---|
| **დუშევინა**-ო'ბრაიენი | 6:3, 6:2 |
| **მედინა გარიგესი**-ვაკულენკო | 6:4, 6:4 |
| ზაკოპალოვა-**მარტიჩი** | 3:6, 6:4, 6:7 |
| **ვოზნიაჩკი**-შპრემი | 6:1, 6:1 |

ფორმულა 1. ახალი ამბები

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ჰონდა ალონსოს უმიზნებს



ფერნანდო და რუბენსი

კვლავ არ ცხრება ჭორები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **ფერნანდო ალონსოს** "რენოდან" აბარგების შესახებ. ბრიტანული Daily Telegraph გუშინდელ ნომერში წერდა იმის თაობაზე, რომ "ჰონდამ" მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა ესპანელ პილოტს. იაპონური საჯინიბოს შეფები ერთწლიან ხელშეკრულებას არ თანხმდებიან და ნანდოს სთხოვენ, თავად დაასახელოს მომავალი კონტრაქტის თანხა.

დღეისთვის, "ჰონდას" ჩემპიონატის ლიდერებთან ბრძოლის ძალა არ შესწევს, ამიტომაც მთელი რესურსები მომავალი სეზონის ბოლიდის შესაქმნელად მიმართა. ვარაუდობენ, რომ ახალი წესების თანახმად, იაპონური გუნდი გაისად ლიდერებს შორის უნდა შევიდეს.

თუ ალონსო "ჰონდაში" გადასვლას დათანხმდა, მისი მომავალი პარტნიორი, ბრიტანელი **ჯენსონ ბატონი** იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდის დატოვება მოუწევს ბრაზილიელ ვეტერანს, **რუბენს ბარიკელოს.**

დაველოდოთ კომენტარებს...

■ ■ ■

ამასობაში კი, გერმანული "ბილდი" დაუდასტურებელ ინფორმაციას ავრცელებს, სადაც წერია, რომ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ფინელმა **კიმი რაიკონენმა** კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი "ფერარისთან". "აისმენი" სკუდერიაში 2011 წლის ბოლომდე დარჩება.

მოლაპარაკებების დეტალები უცნობია, მაგრამ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გერმანული გაზეთი ასკვნის, რომ ალონსო ჯერ ვერ ეღირსება "ფერარიში" გადასვლას და სხვა სამუშაო ადგილი უნდა ეძებოს.

# რა მოხდა BMW-ში?



გერმანიის გრანპრის შემდეგ, ფორმულა 1-ის გუნდებმა ესპანეთის ხერესში ახალი სატესტო სერია დაიწყეს. პირველივე დღეს უსიამოვნო ინციდენტის გამო, ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა "BMW-ზაუბერმა". გერმანულ-შვეიცარიულმა გუნდმა ოფიციალური პრესრელიზი გაავრცელა, რომელშიც დაწვრილებით აღწერა ბოქსებში მომხდარი ინციდენტის დეტალები. დილით, საინფორმაციო სააგენტოებმა დაწერეს, რომ BMW-ის ტესტ-პილოტმა **კრისტიან კლიენმა** მანქანა ერთ-ერთ მექანიკოსს დააჯახა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ინჟინერს თურმე დენმა დაარტყა.

*"BMW-ზაუბერმა" დღეს პირველად გაიყვანა ტრასაზე მანქანა F1.07C, რომელიც KERS-ის ახალი სისტემით არის აღჭურვილი. რამდენიმე წრის გავლის შემდეგ, ბოლიდი ბოქსებში დაბრუნდა, მექანიკოსი ხელით შეეხო მას და ელექტროდენის დარტყმა მიიღო. სწორედ ამან გამოიწვია მარცხენა ხელის ტრავმა. სამედიცინო ცენტრში გამოკვლევის შემდეგ, მექანიკოსი თავისი მოვალეობების შესრულებას დაუბრუნდა.*

*გუნდმა ინციდენტის მიზეზების დასადგენად ტესტები შეწყვიტა. ხვალ, კლიენი F1.08-ის საჭესთან გააგრძელებს მუშაობას, რათა ამ სეზონისთვის შექმნილი სიახლეები გამოსცადოს. ხვალიდან კი, მას ნიკ ჰაიდფელდი შეცვლის",* - წერია განცხადებაში.

**გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# იპოვეთ განსხვავება





ბრიტანული Daily Mail ერთი ფრიად "საჭირბოროტო" საკითხის გარკვევით არის დაკავებული. ინგლისელ ჟურნალისტებს აინტერესებთ, ჩაიყენა თუ არა **ანა კურნიკოვამ** მკერდში სილიკონი.

აქ მოცემული პირველი ფოტო 2005 წელს, **მონიკა ლუილეს** ჩვენების დროს არის გადაღებული. მეორე სულ ცინცხალი სურათია - გასულ უიქ ენდზე რუსი ჩოგბურთელი Mercedes-Benz Fashion Week-ს დაესწრო.

ანა ძალიან სექსუალურად გამოიყურებოდა. ჩვენების დროს, პირველ რიგში იჯდა და მისი ფიგურის შესწავლა ძალიან კარგად შეიძლებოდა. სწორედ ამის შემდეგ აღეძრათ Daily Mail-ის ჟურნალისტებს პატარა კვლევის ჩატარების სურვილი.

თავად ჩოგბურთელი ამ ყველაფერს იუმორით ხვდება: *"არც გათხოვილი ვარ, არც ფეხმძიმედ ვარ და არც მკერდი გამიდიდებია. კიდევ რა გაინტერესებთ?"*

ფეხბურთი

# ნაიარევი სახე



საფრანგეთის ნაკრებისა და "ბაიერნის" ნახევარმცველი **ფრანკ რიბერი,** ევროპის ჩემპიონატზე მიღებული უმძიმესი ტრავმის შემდეგ, სარეაბილიტაციო კურსს განაგრძობს. ფეხბურთელი ესპანეთის კურორტ მარბელიაზე ისვენებს.

ბავარიელი თავისი მეგობრების გარემოცვაში შესანიშნავად ატარებს დროს. არადა, მარცხენა ფეხი ჯერაც თაბაშირში აქვს. ექიმების ვარაუდით, რიბერი მწყობრში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის სტარტისთვის უნდა ჩადგეს.

კალათბურთი

# ლებრონის ტრავმა



ცუდი ამბავი მოხდა ამერიკის კალათბურთელთა ნაკრების ბოლო ვარჯიშზე. "დრიმ თიმის" დამრიგებელი **მაიკ კრჟიჟევსკი** იორის მსუბუქ ვარჯიშს ატარებდა - არანაირი განსაკუთრებული დატვირთვები. ერთ-ერთი ნახტომის შემდეგ, **ლებრონ ჯეიმსს** ფეხი გადაუბრუნდა. "კლივლენდის" ვარსკვლავმა ტკივილისგან ისე იღრიალა, ყველას ეგონა, რომ "დრიმ თიმს" პეკინში ლებრონის გარეშე მოუწევდა გამგზავრება.

ჯეიმსი ექიმებმა სახელდახელოდ გასინჯეს, მაგრამ სერიოზული ტრავმა ვერ აღმოაჩინეს. საბოლოო პასუხი უფრო დეტალური გამოკვლევის შემდეგ გახდება ცნობილი. კრჟიჟევსკიმ ყველა დააიმედა - საერთოდ აღარ ვავარჯიშებ ჯეიმსო.